


წელიწადი
პირველი



19 მაისს
1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ფასი 1 ლარი

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწმარა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოყვის სასალების წემოდ. №18 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

<p>„ივერიის“ ფასი 1877 წელს. ათი თვისა, გაგ ზაფხით და გაუგ ზაფხულად ... 6 მან. — თითო ნომერი — 15 კაპ.</p>	<p>თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასახეულთ გამოგ ზაფხულ წერილებს. განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.</p>
--	---

საძიებელი: I. საქართველოს მატრიანე. — II. ომის ამბები. — III. აწინდელის დროის შესახებ. — IV. საპოლიტიკო მიმოხილვა. — V. ორიოდ სიტყვა საქალაქო სასწავლებელზე — VI. თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი. — VII. ისმალეთის საქართველო. — VIII. გლეხის ნაამბობნი, სცენა 5 და 6. — IX. ჩვენის ისტორიისათვის მასალა. — X. განცხადებანი.

საქართველოს მატრიანე

უძველესი მიწები ჩვენის გლეხობის ჩვილისა და დრტვივისა სახელმწიფო ტყეების გამოკობაა. ეოველის მხრიდან ისმის, რომ სახელმწიფო ტყეების გამოკობისაგან ხალხს არაქათი აქვსთ გაწვევტილი. თუ ხალხი გულნატკენია, თუ ხალხი ჩივის და დრტვიანავს, ესე ეოველი ტყის მცველების ბრალია, რომელნიც დაუსჯელად ხალხს ტყავს აძრობენ ტყის ხმარების აუცილებლობისაგან.

არც ერთის წოდების გამოკობა ჩვენს ქვეყანაში ისე უთავბოლოდ და ღვთის ნებაზედ არ არის მიხეობული, როგორც სახელმწიფო ტყეების გამოკობა. სწორედ ეს ტყის გამოკობა ტყის ხელისუფალთა გამდიდრებისათვის შეიქმნა და გლეხის განადგურებისათვის. ჩივიან, ჰკვენესიან ტყის მცველთა ბოროტ-მოქმედებისაგან, მაგრამ გამოკითხავი არავინ არის.

ჩვენს გლეხობას სადგომიც და მეურნეობაც ისე აქვს მოწყობილი, რომ ბევრი შემა უნდება სათბობლათ ჰურის გამოხსენებლად, და მრავალი ხე-ტყე შენობისათვის ღობის და ჭიგვისათვისათვის. ჩვენებურის გლეხისათვის ტყე ისე საჭიროა, როგორც არსებითი ჰური. უტყეოდ ჩვენებური გლეხ-კაცი ვერ დადგება ისე როგორც უპუროდ. ეს იციან სახელმწიფო

ტყის გამოკობა, ამით სარგებლობენ და უბედურს, უხუცემოს და მაინც ქვეყნის მაცხოვრებელს გლეხს ტყავს აძრობენ, როცა კი ხელში ჩაუვარდებათ, რომ ხშირად ჩაუვარდებათ ხოლმე ეგ აშკარაა, იმიტომ რომ გლეხს თითქმის ეოველი დღე უნდება ტყე და ამის გამო თითქმის ეოველ დღე ატუსუღია „ლესნიის“, სახლის წინ ბარათისათვის. რამდენს ტანჯავს გამოივლის. რამდენს ხარჯს ჰწევს, რამდენს დროსა ჰკარგავს, ვიდრე „ლესნიი“ იხებებს და ბარათს მისცემს ტყეში შესვლისათვის. ერთი ურემი ფიხნი რომ უნდოდეს სამს ცეცხლში უნდა გამოიაროს საწვალმა გლეხმა: ეს ლესნიიაო ეს ობიესნიკიაო, ეს ზოლესოფიკიაო. მერე როგორღაც ჩვეულებათ დაეკებათ ამ სამს ჰირს, რომ ხანა უნდა დაიღობონ ეოველს შემთხვევაში—და უღობობს ხანას საწვალე გლეხი, რადგანაც მეტი გზა არ აქვს. წავა ტყეში ლესნიის ნებართვითა, დაუდებს ფიხს, თუ შეძას, რომელისათვისაც წინადვე ბაჟი აქვს გაღებული, გამოვა ტყიდან საწვალე და სულ იმ ფიქშია, შარი რამ არ მომიდრონო და ერთი ურემი ათად არ დამიხონო. ეფერება საწვალე ზოლესოფიკსაც, ობიემიკსაც, ლესნიისაც და გულში ჰსწვევლის თავისის გაჩენის დღესაც და ამ სამს ჰირდალებულს მკვლს, მასზედ მისეულს.

სახელმწიფო ტყეების გამოკობა ისეა ეველგან მოწყობილი, რომ საგნად სამი რამა აქვთ: 1) ტყეების წესიერად მოხმარება და საბოლოოდ გამოწოგვა; 2) ტყეებიდან ჯეროვანი შემოსავალი საზინის სასარგებლოდ და 3) სამართლიანი, გაუჭირებელი ტყით სარგებლობა მცხოვრებთათვის.

ჩვენში ტყეების გამოკობა იმ გზაზედ მიდის, რომ ტყეები არამც თუ საბოლოოდ იხოგება, არამედ სულ ძირს დაცემულია თითქმის და გათახსირებული; საზინას არამც თუ ჯეროვანი შემოსავალი შემოდის, არამედ იმის ნათალიც არ შემოსდის, რაც ტყეებს

ნამდვილი შემოსავალი აქვთ და რაც ნამდვილსა ჰსჭარბობს, ეგ კიდევ მეტია; თვით მცხოვრებნიც ისე არა რაინაგან გაჭირვებულნი, შეწუხებულები და განადგურებულნი არ არიან, როგორც ტყუთა გამკეების ბოროტ-მოქმედებისაგან. არაქათ გაწუ- ვეტილმა გლეხობამ აღარ იცის რა ქნას, როგორ დაიხსნას თავი ტყუთა გამკეობის თვით-ნებობისაგან რბევისა და შარისაგან. ივერიაში რამდენჯერმე იყო მოხსენებული ერთის „გლენიხის“ ოინბაზობა, მაგრამ ამბობენ, რომ ამის ოინბაზობა ევაილიაო მასთან, რაც სხვაგან თურმე ტყის გამკეი ჰსჩადიან.

როდის უნდა მოელოს ბოლო ამ ბოროტ-მოქმედ- ბას, რომელიც ასე ძმარს ადენს ცხვირიდამ სანაყლს გლეხობასა და თავის გაჩენის დღეს აწვევლინებს, ნუ თუ იმათ ვის ხელთაც არის ამ ბოროტ-მოქმედობის ძირით აღმოფხვრა, ჰგონიათ, რომ ეს სახუძარი ამბავია და ამიტომაც უურს არ ათხოვებენ ამ ეოვლად შემაზარებულს, ეოვლად შემაწუხებულს და ეოვლად მოუნელებულს თვითნებობას ტყეების მცველებისას. დროა, დრო ეურადღება მიაქციონ და ვიდრე საძველია დაიხსნან საწყალი გლეხობა იმისთანა რბევისა და მტაცებლობისაგან, რომელიც ამ ჟამად იმათ საუბედუროდ და ტყუთა მცველების საკეთილოდ ეგრე საჯაროდ, აშკარად ჩვენში სუგავს. ტყე ტყუთ უშბდება, გლეხობას ერთი ათად უჯდება ტყის ბაჟი, ხაზინას ამით არამც თუ ემატება რამ, არამედ ბევრიც აკლდება და მეტევენი კი ნავარდობენ და გლეხის ცრემლით და იფლით ანგარების წყურვილს იკლავენ.

— ამტკიცებენ, რომ ის თვალთ უჩენიჭია, რომელსაც ფილოქსერას ეძახიან და რომელიც სამს წელიწადში თურმე სულ გააჩანაგებს და გადაახმობს ვენახსა, ეირიშიმაც გაჩენილაო. სახელმწიფო ქონების უფროს გამკეებელს, უცნობებია რა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებისათვის ფილოქსერის გაჩენა ევროპაში, უკითხავს თუ რა ღონისძიება უნდა იხმაროს მთავრობამაო, რომ ეგ ჭია კავკასიაში არ შემოვიდესო. საზოგადოებას ვასუსხად უგია, დამოყნამ ზედ მიწვენითი და შეუწვეტელი ზედამხედობა უნდა იქონიოსო, რომ სამზღვარ გარეთიდან და ეირიმიდან ვაზი და ჩიბუხის ტარები არ შემოუშვანო. ჩვენ ამას დაუმატებთ, რომ უნდა აიკრძალოს შემოტანა არამც თუ ვაზისა, არამედ ეოველის გვარის ხეხილისა და ევაილისა, რადგანაც ეგ ჭია ხე-ხილსაც და ევაილსაც თურმე გამოჰვეებაო. თუ სასტიკი და სწრაფი ღონისძიება რამ არ მიიღო მთავრობამა, დიდი უბედურება გაუჩნდებათ ვენახების ჰატრონებსა და ჩვენი ქვეყანა, რომელიც ვენახის მოსავლით სულდგ მულობს, თითქმის დაიღუპება

— რუისში, უმაღლესის მთავრობის ნება-რთვითა, 5 მაისს დაუდგენიათ რუისის სოფლის ბანკის ამხანაგობა. დამადგინებულთა საზოგადო კრება შეერილა რუისშივე კან. ქრისტეფ. მამაცაშვილის სახლში. კრების თავმჯდომარედ ამოურჩევიათ კ. ქ. მამაცაშვილი, რომელსაც მაღლობა გამოუცხადებია არჩევისათვის, აუხსნია მნიშვნელობა სოფლის ბანკის ამხანაგობისა და აღუთქვას ეოველი გვარი შემწეობა, რაც კი მის ხელთ იქმნება. დაფარულის კენჭის ერთთა შეჭსდგ ომიან ბანკის გამკეობისა და საბჭოს წევრთა აღმორჩევას. შვიდს გვამს გამოუცხადებია გამკეობის წევრად ამორჩევის სურვილი. ამათგან სამი შემდეგი გვამი ამოურჩევიათ: გლეხი ესტატე ნუზიაშვილი, სოსე ღებრიშვილი და ახნაური მიხეილ ქლიშიაშვილი. საბჭოში წევრად ამოურჩევიათ ექვსნი: თ. ი. დ. დიასამიძე, ახნაურნი გ. ი მამაცაშვილი და ი. გ. ქლიშიაშვილი, გლეხნი გოგია ეაველანაშვილი, გლახა ბეჟანაშვილი და გიორგი ბეჟუაშვილი. ამ არჩევანის დროს გლეხნი მეტად კეთილ- გონიერად და სიფრთხილით თურმე მოქმედებდნენ. ამ კრებაში შეუდგენიათ რამდენიმე განახენი ბანკის დადგენისა და მოქმედების შესახებ. (კავკასი № 88).

— კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების ანგარიშიდამ ჰსჩანს, რომ 1877 წ. 1-ს მაისამდე საზოგადოებას 267 სხვა და სხვა წოდების წევრნი ჰყოლია. ამათ შორის საზღვართ გარედ—12, რუსეთში—104.

— ამბობენ, ქიზიუში გოლვამ ავნოო წლევეანდელს მოსავალსა, მაშინ როდესაც კახეთის სხვა ადგილებში ამდენი წვიმა არის, რომ ლამის მოსავალსაც აწეინოსო. ზოგიერთს ადგილს კახეთში სეტეკვას დაუკრამს, მაგრამ მაგდონი არა უსარალებია რა.

— ბორჩალოდამ Тифлисский Вѣстникსათვის უცნობებიათ, რომ კალიას იაღლუჯის მთებიდან დაწუობილი სოფ. სარვანამდებალანი სულ მოუჭამიაო.

— 11 მაისს შუალამის დროს კუკიის ხიდზედ ცეცხლი მოკეიდა მიწხოვეის დუქნებს, რომელნიც ხიდის სამხრეთის მხარეს ივენენ. დუქნები და მათში უფრო ბევრი საქონელი გადიწო ამას წინად მიწხოვეს გადაწო იქავ ხიდზედ ჩრდილოს მხრივ დუქნები, და ესლა სამხრეთის მხრივ.

— ლონდონის ანტროპოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერს გოუერტს მოუყვანია რაოდენიმე მტკიცე საბუთი, რომლის ძალითაც იგი ამტკიცებს, რომ ოსები სარმათების შთამომავალნი არიანო, რადგანაც ეს მეტად ახალი და შესანიშნავი ამბავია, ამისათვის ამ სავნის შესახებ მკითხველს წარმოუდგენთ შემდეგში ვრცელს ცნობასა და მასზედ თუ რა საბუთებზეა დამყარებული გოუერტის აზრი.

– შაბათს 14 მაისს კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებას თვისთა წევრთა წლიური კრება მოუხდენია. ამ კრებაზე დასწრებიან ეოვლად უსამღვდელოესი ექსარქოსი საქართველოსი ევსევი, აღმასრულებელი მთავარ-მართებლობის უფროსის თანამდებობისა ღენერალ-მაიორი სტაროსელსკი, ტფილისის გუბერნატორი ბარონი ოსტენ-საკენი, ტფილისის მოთავე დ. ს. ს. ეიფიანი და სხვანი ხარისხის მექონნი ზირნი ქალაქისა. კრებას მით დაუწევია თვისი მოქმედება, რომ ვიცე-პრეზიდენტის და ერთის საბჭოს წევრის არჩევანს შეჰსდგომია. დაფარულის არჩევანით ამოურჩევიათ ვიცე პრეზიდენტად თ. ილია ჭავჭავაძე და საბჭოს წევრად უფ. გურგინბეგოვი. ახალს სეკრეტარს საზოგადოებისას ი. ს. ხატისოვს წაუკითხავს წარსულის წლის ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა. ლოჭინის სასწავლებლის ეოფილს დირექტორს უფ. გავესკის წაუკითხავს ანგარიში ლოჭინის სასწავლებლის წარმოებისა. მას შემდეგ სეკრეტარსვე უფ. ხატისოვს წაუკითხავს თვისი წერილი შესახებ სასოფლო მეურნეობის გამგეობისა კავკასიაში. სასოფლო მეურნეობის ინსპექტორს უფ. მოროვს წაუკითხავს წერილი „ფილოქსერის“ შესახებ. (კავკასი № 19).

– ზოგიერთთა გულმტკიცეუელთა ზირთა მეცადინეობით ტფილისში შეჰსდგა საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს მზრუნველობა ღარიბთა ერმათა აღზრდისათვის. ამ საზოგადოებას ამოურჩევია შემდეგნი ზირნი ამა მეტად კეთილის საქმის წარმოებისათვის: თ. გიორგი რომანისძე ერისთავი, კონსტანტინე ქრისტეფორესძე მამაცაძევილი, თ. ირაკლი კონსტანტინესძე ბაგრატიონ მუხრანსკი, თ. ალექსანდრე ზაალიძევილი, თ. დავით ივანესძე ავალიძევილი, თ. დავით გიორგისძე ერისთავი, თ. ილია გრიგოლისძე ჭავჭავაძე და დიმიტრი ზაქარაისძე ბაქრაძე.

ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი

წარსულ კვირაში შემდეგი ამბავი მოვიდა ომის შესახებ: აფხაზებს არეულობა მოუხდენიათ და სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსს ღენერალ კრავჩენკოსჯარი გაუგზავნია, რომელსაც აკაფის მადლობზე აფხაზებისათვის მოუსწვრია და დიდი ზარალი მიუყენებია. ამ ომში მოუკლავთ ახალციხის ზოლკის შტაბს-კაპიტანი ლინდს-ტრემი და მესამე ლინეინის ბატალიონის პრეზიდენტი სოფრენკო, და სუბუქად დაუჭრიათ იმავე ბატალიონის პრეზიდენტი

საკალოვსკი. გარდა ამისა ოცი სალდათი მოუკლავთ და ოცდა ათი დაუჭრიათ.

– ერთი ნაწილი ოსმალოს ქვეითა ჯარი არტილერიით სოხუმს გასულა ზღვიდამ.

– 10 მაისს ოსმალოს შვიდი სომალდი მისულა ადღერთან *) და სამი ათას კაცადმდისინ ჯარი გადაუსხამთ. ჩვენის მხრით მონაწილეობა მიუღიათ მესამე ზღვასტუნის ბატალიონს და მეორე ლინეინის ბატალიონის როტას, რომელნიც ღესნოისკენ დაწეულან. მათ შორის ცამეტი კაცი მოკლულა და შვიდი დაჭრილა.

– 10 მაისს ნიკოლავესკის პორტთან მისულა ორი ოსმალოს ჯავშინანი სომალდი. შუადღისას ორი კიდევ მიმატებია და ჩოლოქის გაუოლებაზედ ზარბაზანი უსვრიათ. ქობულეთის ატრიადს კინტრიშისკენ გზა გაუკაფავს (45 ვერსტი).

– შავშეთში ფაშისა და მის სელქვეით შორის განხეთქილება მომხდარა და ამის გამო ფაშა შვიდასი კაცით ბათუმისკენ წასულა.

– დუნაიაზე, ბრაილოვთან ორმა რუსის ლეიტენანტმა ღუბასოვმა და შესტაკოვმა დაღუპეს (ნაღბი მიანარეს ნავებით და აფეთქეს) ოსმალოს სამხედრო სომალდი (მონიტორი). ამისთანა თავ-გამომეტებულის საქმისათვის მათ წმინდა გიორგის ჯვრები მიუღიათ. ამ საქმეში სულ ორმოცდა კაცმა მიიღო მონაწილეობა, და არც ერთს არავითარი ზარალი არ მისცემია. ოსმალოს სომალდთან ერთად ასი კაცი დაღუპულა.

– ოსმალები ეუმბარებს ესვრიან კალაფატს *). რუსები კურჭევაში მისულან**) ოლტენინდგან ***). რუსები ეუმბარებს ესვრიან იმ სიმაგრეებს, რომელთაც ოსმალები ტურტუკაიში ასენებენ (ნაზირას, ოლტენინის ზირდაზირ).

აწინდელის დროის შესახებ

ომიანობის დროს, სხვათა შორის, ერთი შესანიშნავი ხასიათი სჭირს: რაც თვითთველ სახელმწიფოს და მის საზოგადო განწყობილობას სატკივარი და სამაგლობა რამაქვს გამჯდარი, ეუელამაშინამოხნდება

*) შავი ზღვის ნაპირია, სოხუმის სემოდ.
 **) რუმინის ქალაქია, ღუნაის ნაპირს ტადდისის პირდაპირ.
 ***) კურჭევატ რუმინის ქალაქია ღუნაის ნაპირს, რუმ-ჩუკის პირდაპირ.
 ****) რუმინიაში.

ხოლმე. ჩვეულებრივად თითქო მიერეუბულია, თითქო ეველასთვის უცნობი და გაუგებარი, ეს სატკივარი ომიანობის დროს გამოჰყოფს თავს და უფრო აშკარად ეჩვენება ქვეყანას, ეს გარემოება არამც თუ მარტო იმ სახელმწიფოებს შეეხება, რომელნიც ომში თვითონ არიან გაბმული, არამედ იმათაც, რომელთაც ომში არაერთად ზირ-და-ზირი მონაწილეობა არ მიუღიათ. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ სხვა და სხვა ნაირად გამოუჩნდებთ დამალული ტკივილი. იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც ომში ზირ-და-ზირ არის გაბმული, ომი დიდი განსაცდელია. იგი აღმოაჩენს თითქმის ეველა მის ნაკლებუვანებას, მის უმთავრეს წასიათსა და თვისებას. ომი თითქო იმისთვის არის გაჩენილი, რომ ჩვეულებრივად ბრმა-სასოგადოებას ცხადად დანახოს მისი თავი მაგალითებზე, ეირიმის ომიანობამ გამოაჩინა, რომ რუსეთის მინაგანი განწობილება ეოვლად უმცხავსი და უხეირო იყო, უჩვენა სასოგადოებას ძირიანის ცვლილებას აუცილებელი საჭიროება და იმ გზაზე დააყენა, რომელზედაც ამ ოცის წლის განმავლობაში მოძრაობს. საფრანკეთის ომიანობამ 1870 წ. ცხადად აღმოაჩინა ის უმცხავსი დაბილწი სასოგადოებრივი და ზოლიტიკური განწობილება, რომელსაც ნაპოლეონს III ამოქმედებდა თავის ქვეყანაში თითქმის ოცის წლის განმავლობაში. იმავე ომიანობამ დანახვა ქვეყანას თუ რა ძალა ატრიალებს გერმანიას და რა გრძნობა აწარმოებს მის საპოლიტიკო ცხოვრებასა. მართალია, გერმანიამ თავისი სიმძლავრე გამოიჩინა, მაგრამ საუბედუროდ, ის ძალა, რომელიც მხოლოდ მუშტზედ და თოფ-იარაღზედ არის დამყარებული, ვერაფერი თანმდებია დიდებისა და ჰატიოსნებისა; ვერაფერი თავგამოსადები და ჰატიოსანცემი გრძნობაა ის გრძნობა აღაძინა, რომელიც მხოლოდ იმის კერძო სარგებლობისკენ არის მიქცეული. რა გამოვიდა, რომ გერმანიამ გაიმარჯვა, თუ ამ გამარჯვებას თან ზემონსენებულის ძალისა და გრძნობის გამარჯვება მოსდევს. საქმე ცარიელი გამარჯვება ხომ არ არის. საქმე ის არის – რა დედა აზრი მოსდევს ამ გამარჯვებას და რა იდეა მკვიდრდება მით ცხოვრებაში. ესეა თუ არა მანინც ამას ვიტყვით, რომ ომი როგორც დამარცხებულისათვის აგრეთვე გამარჯვებულისათვის ერთ ნაირი განსაცდელია: დამალულს სამაგლობას და სატკივარს ორთავეს გამოუჩენს ხოლმე. ცარიელი გამარჯვება დიდი ნიშანი არ არის კეთილ განწობილებისა და წარმატებისა.

მეორის მხრით, იმ ქვეყანაშიაც, რომელიც ომში ზირ-და-ზირ არ არის გარეული, თითქმის ეველა უმცხავსობა ამოჰყოფს ხოლმე თავს-თითქო მშვიდობიანობის დროს სიწინვილით ვერ გამოუჩენია თავის საქვეყნოდაო.

ამის მაგალითიც ბევრი მოიძებნება და შორს რომ არ წავიდეთ, ესლაც გვიდგია თვალწინ. აბა გადაავლეთ თვალი კლერიკალების მოძრაობას, შეჰხედეთ რა ამბავში არიან ჰაზი და მისი კეთილის მოსურნენი. თქმა აღარ უნდა ივინი საეოველთაო არეულობით სარგებლობენ, რომ თავისი სწავლელი აისრულონ და ამ ქვეყნიერობის ბედი ხელში ჩაიგდონ. წრეულ მესრულდა ორმოცდაათი წელიწადი მას აქედ, რაც ზიო IX ეკურთხა ეპისკოპოსად. ამის გამოცხადებით რომში დიდი მღვლვარებაა და დიდძალი ხალხი გროვდება ჰაზის მისალაცავად. ჯერჯერობით ცხრათასი სული შეერილა რომში. ისეც ეოველს წელს ბევრნი მიდიან რომში სალოცავად და ესლაც რაღა იქმნება. დიდძალი მღვენი მოსდის ჰაზს ეველა ქვეყნიბიდან. ფილადელფიის არქიეპისკოპოსმა მორთვა მას ორასი ათასი ფრანკი ოქროთი; ნიუორკის არქიეპისკოპოს მიურთმეგია ჰაზისათვის ორმოცდა ათი ათასი ფრანკი ოქროთივე. ბალტიმორიდან, ბოსტონიდან და სხვ. ადგილებიდანაც დიდძალი ფული მოსვლია. არც გერმანიის მლოცავნიც ჩამორჩომიან სხვებს. რომ მათი მღვენიც მცირე არ არის, ამას გვიმტკიცებს ის უშველებელი ბაჟი ცამეტი ათასი ფრანკი, რომელიც გადინადეს მათ იტალიის სამხლვარზედ.

კარდინალებმაც ისურვეს მღვენის მირთმევა: ერთი დიდი და სქელი ოქროს მედალი ამოჭრევიეს, რომლის ერთ გვერდზედ ჰაზის ზიო IX-ს სახეა გამოყვანილი და მეორეზედ აწერია, რომ ზიო IX ეკურთხა ეპისკოპოსად 3 ივნისს 1827 წ.

მაშ რაღა აწუწუნებს ჰაზს თუ კი ამისთანა ეოფაშია? იტყვის მკითხველი. მოითმინეთ: ჰაზიც თავის მხრით მლოცავებს მედალს ურიგებს, რომელზედაც ერთ გვერდზედ დანატულია ხუთი ნაწილი დედა მიწისა, რომელნიც ჰეტრე მოციქულის ტრანჰეზის ქვეშ გართმული არიან. მეორე გვერდზედ დანატულია წმ. ჰეტრეს ეკლეესია (სადაც ზიო IX ეპისკოპოსად ეკურთხა). ამას უნდა დაუმატოთ ის, რომ ჰაზი თავის-თავს ჰეტრე-მოციქულის მეკვიდრედ ჰრაცხავს. ესლაც ცხადია მისი წუწუნი: ზენაარი არსება – ჰაზი უნდა იეოს და მის ფენტა ქვეშ გართმული მთელი დედა-მიწა – აი მისი ტკივილი და ზრუნვა, აი რისთვის წუწუნებს. საკვირველია, ამოდენა საუკუნემ თითქო უქმად ჩაიარა კანცობრიობისათვის; თითქო საშუალ-საუკუნის უმე-ცრებას და ცრუ-მორწმუნობას ხელმეორედ უნდა ფრთა გაძალოსო.... ჰაზს ჰსურს მიიზიდოს თავისკენ რომელიმე სახელმწიფო და მის შემწობით აბანდეს უწინდებულს, მაგრამ ამ კამად დანგრეულს ტანტზედ. ესლანდელი ომიანობაო, – ამბობენ კლერიკალები, თუმიცა აღმოსავლეთიდან დაიწყოვო, მაგრამ რომში კი გათავდება ჰაზის განთავისუფლებითაო მანინც და მანინც

უკანასკნელი თოფი რომში უნდა გავარდესო“. ნუ თუ ეს თოფი მაკ-მაგონმა უნდა გაისროლოს? იმავე დღეს, როდესაც საფრანგეთის სამინისტრო გამოვიდა სამსახურიდამ, კიულ-სიმონს ეწვია ღენერალი ჩიადინი, იტალიის ელჩი და ამ სიტუვებით მიეკება: „ეს ამბავი იტალიასთან ომს მოასწავებსო.“

საპოლიტიკო მიმოხილვა

უნდაური მდგომარეობაა, სწორედ რომ ჰსთქვას კაცმა. ამასვედ მეტი კი არა ისმის რა: „ინგლისი მტკიცე ნეიტრალიტეტს დაიჭერს აღმოსავლეთის საქმეში და მხოლოდ თავის სარგებლობასედ იზრუნვისო“ ავსტრი-ვენგრია მტკიცე ნეიტრალიტეტს დაიჭერს და მხოლოდ თავის სარგებლობასედ იზრუნვისო“ და სხვ. ეს ხმა ძალდა რომ არ გამოეცნადებინათ ვითომ ვინ არ დაიჯერებდა, რომ ისინი მარტო თავის კერძო სარგებლობასედ ზრუნავენ! აი ამ უმნიშვნელო ლაპარაკით არის სავსე ეხლანდელი პოლიტიკა. ვინ იცის! იქნება ეს სიჩუმი და მიუჩუება დიდ ქუხილსაც მოასწავებს! ეხლა პოლიტიკა თითქო შესწვდა და ეველეგან მხოლოდ თოფ-იარაღის მხადების ჩახა-ჩუხი ისმის. დავანებოთ ამ აღმოსავლეთის საქმეს თავი ვიდრე გადაწვევტილი ამბავი რამ არ მოვა, და უური ვათხოვოთ. ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ს. სადაც ამ ჟამად მართლა ძალიან შესანიშნავი ამბებია.

აი რას იწვრება ზარიჟიდამ ერთი ნემენცურის გახეთის კორრესპონდენტი 16 მაისს (ჩვენებურად 4 მაისს) კულსიმონის კაბინეთის სამსახურიდგან გამოსვლის შესახებ: „კლერიკალებმა თავისი გაიტანეს და რესპუბლიკის ზრეზიდენტი დაიყოლიეს: დღეს მაკ-მაგონმა კიულ-სიმონი დაითხოვა სამსახურიდგან და ისიც ისე წინდაუხედავად და უმართებულად, როგორც თვით განუსაზღვრელის მონარხის მთავრეც საფრანგეთში ვერ გაბედავდა. მაკ-მაგონის ქცევამ, მეტადრე მისმა წიგნმა კიულ-სიმონისადმი, რომელმაც ნაპოლეონსავით იხსენიებს თავის ზასუნის გებანს საფრანგეთის წინაშე, დიდი უსიამოვნება მოიპოვა არამც თუ მარტო პოლიტიკის კაცთა შორის, არამედ მოფინანსედა მოვაჭრე ხალხშიაცა. ეველამ უსიამოვნოდ მიიღო ის გარემოება, რომ მაკ-მაგონმა კლერიკალების ერთგულობით ახალი გაჭირვება მიაყენა საფრანგეთს. ნამდვილი მიხეხი კიულ-სიმონის დათხოვნისა ის იყო, რომ იგი მიემხრო ზალატის გარდაწვევტილებას 4 მაისს *). კლერიკალებმა ეოველივე დონისძიება იხმარეს და მაკ-მაგონს გააბედვისეს იმისთანა საქ-

მის ქმნა, რომელსაც მთელი ქვეყანა უეურებს, როგორც სახელმწიფოს ძირის შერევესა. უმთავრესი მონაწილეობა ამ საუბედრო საქმეში ჰერცოგ დეკაზს (გარეშე საქმეთა მინისტრი) და ეპისკოპოსს დიუზანლუს ჰქონია.“

რა დღესაც კიულ-სიმონი გადადგა სამსახურიდამ, რესპუბლიკელები შეერილან და დიდი ლაპარაკი ჰქონიათ. სხვათა შორის გამბეტას უთქვამს, რომ ჩვენ უნდა ვეცადოთო ეხლანდელი ზალატი დავათხოვინოთ, ახლის ზალატის არჩევანში მტკიცე რესპუბლიკის გზას დავადგეთო და მაკ-მაგონის საქციელს კი უურსაც ნუ ვათხოვებთო. დეპუტატს მენიეს წამოუძახნია, რომ ამ გვარი მოქმედება მაკ-მაგონისა ძირეული შერევეაო სახელმწიფოსი. ამ კრებაში ეველას ერთად გადაწვევტია, რომ მარშალმა მაკ-მაგონმა კონსტიტუცია დანარღვიაო და უსათუოდ ამასედა სვალეუ უნდა მოვსთხოვოთ მთავრობას ზასუხიო; ამასთანავე სვალეუ უნდა შევიტანოთ ზალატში წინადადებო, რომ მაკ-მაგონი გადადგესო ზრეზიდენტობიდა, რადგანაც მან საფრანგეთის კანონებს ზატვი არ ჰსცა და უღალატაო.

რა ჰსურს მაკ-მაგონს? იქნება ნაპოლეონ III გზას დაადგეს და ზურგი შეაქციოს კანონს, სინიღისს, ხალხის სურვილს და თვით აღიძართოს იმპერატორის ტახტი, ან იქნება შამბორისთვის ჰსცდილობს, რომელსაც თავისი თავი საფრანგეთის კანონიერ ხელმწიფედ მიაჩნია. ეს არის თუ ის მისი გულის-საწადელი, მაინც განსაცდელით სავსეს გზას დაჰსდგომია მაკ-მაგონი. როდესაც მაკ-მაგონი რესპუბლიკის ზრეზიდენტად ამოიჩიეს, აი რას ამბობდნენ მონარხიელები: „მაკ-მაგონი ირლანდიის კოროლების შთამომავალია და არას დროს არ გამოიცვლის თავის მონარხიელს რწმენას; მაკ-მაგონი იმ გვარის შვილია, რომელიც ეოველთვის მორხილი ეოფილა თავისეე კოროლისა. მისი გვარი ეოველთვის ერთგული მონა იყო ბურბონებისა; ეს თვითონ მათ ხშირად უქადნიათ. თვითონ მარშალს რამდენჯერმე უთქვამს, რომ იგი მონა არის კანონიერის კოროლისა (ე.ი. შამბორისა). თუცა იგი ეხლა რესპუბლიკის ზრეზიდენტი, მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეხლაც იგი ისევე იმისთანა ლეგიტიმისტია (ბურბონიელი მონარხის მომხრე) როგორც უწინ ეოფილა და როდესაც მოვა დრო მაკ-მაგონი, რასაკვირველია, უკან არ დაიწვეს და ერთგულ სამსახურს გაუწევს თავის კოროლსა.“ ალბათ მაკ-მაგონს ისა ჰგონია, რომ დრო მოვიდა — ჩემს კოროლს სამსახური გაუწიოვო.

მაკ-მაგონი რომ ზრეზიდენტათ განდა საქვეუროდ გამოაცხადა, რომ არავითარ ძირიან ცვლილებას არ მოვანდენო და მტკიცედ დავიცვაო აწყო წესიერებასაო. ვინ იცის ამის მთქმელს რა ედვა

*) ან. „ივეროს“ № 11.

გულში. მაგრამ რესპუბლიკელებს სჯეროდათ მისი გულ-წრფელობა მით უფრო, რომ მაკ-მაგონი თავის დღეში არ ეოფილა პოლიტიკის კაცი, იგი მხოლოდ თავის სარგებლობას დაეძებდა და ეოველს მთავრობას ერთგულად ემსახურებოდა. „მე მარტო სინიდისიანად ვასრულებ ჩემს მოვალეობასა“, ამბობდა ხოლმე მაკ-მაგონი ეოველ შემთხვევაში და ამით ზირნათლად გამოდიოდა გაჭირვებისაგან. მაკ-მაგონი ეოველთვის იმ მხარეს მიეკედლებოდა, რომელსაც ძალა და უფლება ჰქონდა. მაგრამ რესპუბლიკელებმა იცოდნენ, რომ მაკ-მაგონს ახვევიან იმისთანა ბოროტი კაცები, რომელთათვის არც სამშობლოა, არც სინიდისი, არც კაცთ-მოყვარეობა, და რომელნიც ეოველ ქამს გამხადებულნი არიან დაღუპონ რესპუბლიკაც, თვითონ საფრანგეთიც, ოღონდ კი დაიცვან თავისი უფლება, სიმიდრე და დიდების მოყვარეობა, – ესე ეოველი რესპუბლიკელებმა იცოდნენ და ამიტომ მაკ-მაგონს სრულად ვერ დანდობოდნენ.

ამ კაცთა შორის იყო ჰერცოგი ბროლჰი, რომლის მეოხებითაც ელირსა მაკ-მაგონს რესპუბლიკის ზრეზიდენტობა. ამისთანა ბოროტი და სამშობლოს მოღალატე კაცი მნელად უნახავს საფრანგეთს დიდი რეოალიუციის აქეთ. საკვირველია, რომ ამისთანა ეოველად უნიჭო, უსინიდისო კაცი კიდევ ჰპოეებს მსმენელსა, მაურებელს და მომხრესა. როგორც მწერალი ჰერცოგი ბროლჰი იმ აზრისაა, რომ კაცობრიობის წარმატება კათოლიკის სარწმუნოების საქმეა, რომელიც ეოველთვის თავისუფლებას ქადავს. ბროლჰის აზრით სამუაღ საუკუნის სხოლასტიკებმა უფრო მეტი სარგებლობა მოუტანეს კაცობრიობას ვიდრე იმისთანა მეცნიერებმა, როგორც ვალილეი, კეპლერი, ნიუტონი და სხვ. „კათოლიკობა ეოველთვის გულკეთილობით იყო სავსეო“, ამბობს ბროლჰი. რაც შეეხება თვითონ მის გულკეთილობას და კაცთ მოყვარეობას, – ეს შემდეგი დამაჰსნანს. ბროლჰის შვილების მასწავლებელს შეუყვარდა მისი ცოლი. ეს იყო ნაპოლეონ III დროს. ბროლჰიმ შეიტყო ეს ამბავი და გკონით რაინდობა რამ გამოიჩინა თუ? არა, სხვა რივად ამოიყარა მისი ჯავრი. ექიმისა და პოლიციის შემწეობით ეს მასწავლებელი გიყების სამკურნალოში დაამწვევდა. წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაში უნდა ეოფილიყო გონება-მრთელი კაცი, რომელსაც ისე ექცეოდნენ როგორც გიჟს, ეს ამბავი ცხადად გვიმტკიცებს რა გავლენა ჰქონდა ბროლჰის ნაპოლეონის მმართველობის დროს.

რა რივად უეგარს ბროლჰის თავისი სამშობლო ამას გვიმტკიცებს მისი მოღვაწეობა, როდესაც იგი გარემე საქმეთა მინისტრად იყო. იმისთანა წერილი გაუგზავნა სხვა სახელმწიფოებს, რომ უცხო ქვეყნების გასეთებისა

კი შერცხვით. ამ წერილში ბროლჰი ამბობდა, რომ საფრანგეთში უთავბოლოება არისო, მთავრობა ცდილობსო, რომ შინ მშვიდობიანობა დაიცვასო; ეველა სახელმწიფოს სარგებლობა მოითხოვს, რომ საფრანგეთში რეოალიუციის სული გაქრესო. ერთი სიტყვით, საფრანგეთი დასაბესლა მთელის ქვეყნის წინაშე.

აბა, ამისთანა კაცი აუეგანია ეხლა მაკ-მაგონს მთავრობის მოთავედ. მართლა და დიდი დაბრძავებული გამბედაობა უნდა გამოიჩინოს კაცმა, რომ ქვეყნის წინაშე აბრუგატენილი და შეცხვნილი კიდევ გამოვიდეს პოლიტიკის ასაზრესხედ. ნუ თუ ამ რივ ვაპბატონებს ავიწედებთ, რომ ეხლანდელი საფრანგეთი ის საფრანგეთი აღარ არის, რომელიც ოცდა ხუთის წლის წინედ იყო. იგინი თვისის მეღაძეობით თავის თავს თუ დაღუპენ, თორემ რესპუბლიკას, რომელიც ამ ქამად საფრანგეთის ხორცში და ძვალშია გამჯდარი, ვერაფერს ვერ დააკლებენ.

– იმ სახლის წინ, სადაც რესპუბლიკელები შეკრებილი ეოფილან 10 მაისს (4 მაისს), დამის 10 საათხედ, დიდძალი ხალხი მოგროვებულა. თითქმის ოცი ათასი კაცი მდგარა მწკრივად. დაუნახავთ თუ არა გამბეტა, ხალხს ერთის ხმით დაუძახნია: „რესპუბლიკას გაუმარჯოს!“ აქ ზირველი სიტყვა გამბეტას წარმოუთქვამს. „თქვენ იცითო, უთქვამს გამბეტას, რა უცნაური და ზარღამენტის ჩეულებათა წინააღმდეგი სამუაღლება იხმარა რესპუბლიკის ზრეზიდენტმა იმ სამინისტროის შესახებ, რომლისკენაც იყო ორივე ჰალატის უმრავლესობა“.

„თუმიცა ეს ასე ჰქმნა ზრეზიდენტმა, მაგრამ ერის წარმომადგენელებმა მშვიდობის მეოფელობა და დამჯდარი გონიერება უნდა გამოიჩინონ ამ ანაღის შემთხვევის წინაშე, რომელმაც ასეთის გამბედაობით დაარღვია კავშირი და დამოკიდებულება საზოგადოებრივთა უფლებათა შორის. ამისთანა დროს ჩვენ უნდა მოეგრდოთ გულფიცხსა და უნაოფო ბაასს. როდესაც კაცი მძიმე საქმეს დაადგება, იმისთანა საქმეს, რომელსაც ძალა და სახელი უნდა ჰქონდეს, მაშინ საჭიროა კაცმა დაიცვას სრული ღირსება და აღმოთქვას მხოლოდ ის, რაც ეოველად მართებული და კანონიერია“ (აქ გამბეტას ტაში დაუკრეს).

„რესპუბლიკის ზრეზიდენტი ამბობს, რომ იგი თვით არის ჰასუხის მეგბელი საფრანგეთის წინაშე. ამით ვითომ იმის თქმა უნდა, რომ ზირადი უფლება მე მაქვს მონიჭებულიო. თქვენ ამის ჰასუხად მიუგეთ, რომ უფლება მხოლოდ ქვეყნის ხელთ არის, და ქვეყნის კანონიერი წარმომადგენელი თქვენა ხართ“

ეს კრება რომ დაიშალა და გამბეტა გამოვიდა გარედ, ხალხმა შეჰსძახა: „გაუმარჯოს გამბეტას!“

გაუძარჯოს რესპუბლიკას!“ გამბეტამ ხალხს ეს უთხრა: „ნება მომეცით მე ვითარცა კანონის დამცველს, მოგცეთ ერთი რჩევა, რომელიც ეველამ უნდა აღასრულოთ: მე გირჩევთ ზომიერებას რადიკალიზაციის მიმართ. გუგუშაძის რესპუბლიკას!“ ხალხმა ხელმოკრულად დაიგრილა: **vive la république!** ზოლიციას ხმაც არა მოუღია და მარტო ორასი კაცი დაატუსაღა, ისიც ისინი, რომელნიც ევიროდნენ: „არ გვინდა რესპუბლიკა, გაუძარჯოს კლერიკალებსაო!“ ესეც იმიტომა ჰქმნა ზოლიციამ, რომ ის უბედურნი მოერიდებინა, თორემ ხალხი მათ კაი დღეს არ დააუბრია.

ამ რესპუბლიკელთ კრებაში მიუღიათ ეს წინადადება, რომელიც მეორე დღეს ზალატში უნდა შეტანილიყო „რადიკალიზაციის მარტო რესპუბლიკას შეუძლიან დაიცვას რიგი და წესიერება შინ და მშვიდობიანობა გარედ, ამისათვის ზალატი აცხადებს, რომ იგი მხოლოდ იმ კაბინეტს ენდობა, რომელიც თავისუფლად განაგებს საქმესა და რომელიც მხოლოდ რესპუბლიკის გზას ადგია.“

თქმა აღარ უნდა, რომ ეველა დიდის მოუთმენლობით ელოდდა მეორე დღეს, რადგანაც ამ დღეს დეპუტატთა ზალატში დიდი და ცხარი ბაასი უნდა გამართულიყო. მართლაც და ზალატი გაჭედული იყო ხალხით. წამოღვა გამბეტა და სთქვა შემდეგი სიტყვა:

„ეველასევე უწინარეს ვაღიარებ ვინცნა ჩემ თავს გამოაცხადო, რომ მე არც ერთს უმართებულო სიტყვას არ ვიტყვი რესპუბლიკის ზრეზიდენტის წინააღმდეგ (ძალიან კარგი, ძალიან კარგი). დღევანდელ ბაასს დიდი მნიშვნელობა აქვს ჯერ იმიტომ-რომ აქ ლაზარაკია იმაზე, თუ რამოდენად მართებულად და წესიერად ხმარებულია კონსტიტუცია, რომელიც ქვეყნის მიერ არის აღიარებული და მეორე იმიტომ რომ დღევანდელს ბაასს დიდი გავლენა ექმნება თვით კონსტიტუციის მომავალზე. ამის გამოისობით ჩვენი ბაასი ისე მშვიდობიანად და ისეთის ზატივის-ცემით უნდა წარემართოს, როგორც ამ მძიმე საგანს ეკადრება და შეეფერება. (ძალიან კარგი, ძალიან კარგი). ვაღიარებ ვინცნა რა შთაბეჭდილება მოახდინა დეპარტამენტებში მთავრობის მოქმედებამ. ამ მოქმედებამ დიდად ააღიარა ხალხი. რადგანაც ხალხი აღიარებულია, ჩვენ უნდა რომელიმე გარდაწვევებივინა დაავსდეთ იმ საქმის თაობაზე, რომელზედაც ესეა ვლანარაკობთ. იმ დროს როდესაც ზალატთა და კაბინეტის შორის არავითარი განსხვავება და უთანხმოება არ ყოფილა, როდესაც საფრანგეთი მარტო იმის ცდაში იყო რომ მშვიდობიანობა დაეცვა, მარტო იმას ზრუნავდა, რომ უწინდელი თვისი სიმდიდრე და მნიშვნელობა აღედგინა, მაშინ უცებ გვაუწყეს, რომ რესპუბლიკის მოთავემ სამინისტროს ზრეზიდენტს

იმისთანა წიგნი მისწერა, რომლის გამოისობითაც მთელი სამინისტრო სამსახურიდან გადადგა. რასაკვირველია, ეველამ ეს იკითხა: რა ამბავია, რა მიზეზია ამ მთავრობის განსეთქილებისა? ბოლოს გამოჩნდა, რომ რესპუბლიკის ზრეზიდენტს, რომლის გულწრფელობას ეჭვი არა აქვს, გარს ახვევია სხვა და სხვა მრჩეველნი, რომელნიც სულ იმასა ცდილობენ, რომ ზრეზიდენტს, როგორც შინაგან აგრეთვე გარეშე საქმეებში იმისთანა რამ მოახდინონ, რომელსაც დიდი შიში მოსდევს. აი რამ ჩააფიქრა საფრანგეთი და ელდა ჰსდა ჩვენს ქვეყანასა. შემკრთალი ქვეყანა ჰკითხულობდა – გარდა თვალთ ხანისა მთავრობისა, მეორე უხინარი და საიდუმლო მთავრობა ხომ არ აგვიჩნდაო ჩვენის კეთილ-მოღვაწეობის დასაბრკოლებლათაო. აი ამას ჰსწუხს ყოველი სული.

„ჩვენ საბუთი გვაქვს მოვანსნოთ რესპუბლიკის ზრეზიდენტს: თქვენ მოტყუებული ხართ და გირჩევთ მტკიცე ერთგულება გაუწიოთ კონსტიტუციას, რომელიც ჩვენც გვიფარავს და თქვენცა. (აქ გამბეტას ტაში დაუკრეს).“

„ჩვენ მხოლოდ თვით მართელობის გულწრფელი მოხმარება გვინდა“. თუცა რესპუბლიკის ზრეზიდენტი განთქმულია მხედრობაში და ძლევეთ მოსილი, მაგრამ სამხედრო მოღვაწეობაში გართულსა ზოლიტიკისათვის მოცლან არ ჰქონია და ზოლიტიკისათვის თვალ-უური არ უდევნებია. ამიტომ იგი უფრო მალე მოტყუვდება ვიდრე სხვა სახელმწიფოს მოთავე ვინმე. ჩვენ ვურჩევთ მას ნუ გადასცდება კონსტიტუციას, თორემ გაჭირებაში მეგობარს ვუღარ მოიპოვის. გაფრთხილდით, – ხალხმა უწყალო სამაგეროს გარდაცა იცის, როდესაც მის მშვიდობიანობას ერჩიან და ღალატობენ.“

დიდხანს და მშვენიერად ილაზარაკა გამბეტამ. დიდი ხანია მას არ გამოუჩინია ამოდენა ხერხი და დიდი ხანია ასე კარგად არ გამოუხატავს მთელი ზალატის გრძნობა და მიმართულება. ბოლოს ზალატმა მიიღო ზემოსწესებული წინადადება რესპუბლიკელთა. (355 თეთრი კენჭი მოუვიდა და 145 შავი).

ამის შემდეგ რესპუბლიკის ზრეზიდენტმა განკარგულება მოახდინა, რომ ზალატი და სენატი ერთის თვით დათხოვნილ იქმნას. ეს ვერაფრად მოეწონათ რესპუბლიკელებს, რადგანაც იციან, რომ ამ დროებით დათხოვნას, სამუდამოთ დათხოვნაც ზედ მოჰყვება და სხვა ზალატა მეჰსდგება ახალის არჩევანითა. ამიტომაც რესპუბლიკელები შეიკარნენ ვერსალში და შემდეგი მანიფესტი გამოცხადეს საფრანგეთის ხალხისადმი: „მვირფანო მამულის მვილნო, ზალატის დათხოვნის განკარგულება რომელიც თქვენ წარმომადგენელთა მოულოდნელად თავს დაეცა, არის მხოლოდ ზირველი ბიჯი ახალის სამინისტროისა, რომელსაც მოუწადინებია უარჰქოს

საფრანგეთის სურვილი რესპუბლიკის პრეზიდენტის წიგნი კარგად გვიჩვენებს მარშლის მრჩეველთა განზრახვას. ზალატი გაუქმებულ იქმნა ერთის თვით. ამ ერთის თვის განმავლობაში სენატსაც მიიმხრებენ, რომ მისის თანხმობით ესლანდელი ზალატი სამუდამოდ გადააყენონ. *) კაბინეტი, რომელსაც ეოველ შემთხვევაში ზალატის უმრავლესობა მხარს ამდევდა გადააყენეს სამსახურიდან ასე, რომ ზალატში ამაზედ ბასიცი არ ეოფილა. ახალმა მინისტრებმა წინადადეგ იგრძნეს, რომ თუ საქმე ზარლამენტზედ მივარდებოდა, ზალატი ერთს დღესაც არ დააყენებდა იმ კაბინეტს, რომლის მოთავე ჰერცოგი ბროლჰია. რადგანაც ჩვენ აღარ შეგვიძლიან ზალატში გამოაცხადოთ ჩვენი სამდურავი კიცხვა, ამიტომაც ვისურვეთ თქვენ მოგმართოთ და დაგარწმუნოთ, რომ ჩვენს მტრებს შეცადინეობა უქმად ჩაუვლით. სარანგეთს რესპუბლიკა ჰსურს; მან ეს სურვილი გამოაცხადა 20 თებერვალს 1876 წ. და ეოველთვისაც გამოაცხადებს, როდესაც მის სურვილს დაეკითხებიან. კიდევ ამიტომ ცდილობენ შეაყენონ ხალხის სურვილის გამოცხადება, რომ წრეულ მუნიციპალისა და დეპარტამენტების საბჭოს წევრთა არჩევანი უნდა მოხდეს.

„ხალხი თვისის მშვიდობიანობით, დამჯდარის გონიერებით და დადგრომილებით დაუმტკიცებს იმათ, რომ ბევრსა ცოტანი, უმრავლესობას უმცირესობა ხელიდამ უფლებას ვერ გამოვლევს. რაც უნდა იეოს საფრანგეთს ვერც შეამინებენ, ვერც მოატყუებენ. რესპუბლიკის მოღვაწენი იქამდინ იქნებიან ხალხის უფლების მფარველად ვიდრე ძალად არ განამორებენ ხალხს, რომელიც მათზედ სრულიად დანდობილია. ჩვენ თქვენი წარმომადგენელნი ჩვენის მხრით ამას ვიტყვით, რომ დღეიდან იწეობა ზირ-და-ზირი მიმოსვლა ჩვენ და თქვენ შორის. ორში ერთი უნდა ამოიწიოთ: ან უკან დამხევი და შემთხვევაზედ დამოკიდებული ზოლიტიკა, რომელმაც უცბათ შეარეია ეველა ის, რაც ამ უკანასკნელის ექვსის წლის განმავლობაში დიდის ღვაწლით მოგვიპოვებია, ან არა და დამჯდარი, მტკიცე მშვიდობის მოევარე და წარმატებული ზოლიტიკა, რომელმაც მოიპოვა კიდევ თქვენი სრული თანაგრძნობა.

„კვირფასნო მამულის შვილნო, ეს განსაცდელი ხან გრძლივად თავს ვერ დაიჭერს. ექვსის თვის შემდეგ საფრანგეთი ხელმეორედ ამოიღებს ხმას“. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენ ისევე ადრინდელ

*) კონსტიტუციის ძალით რესპუბლიკის პრეზიდენტს მხოლოდ სენატის თანხმობით შეუძლიან გააუქმოს დეპუტატთა პალატი. იმ აუტლეტების პირობით კი, რომ სამის თვის განმავლობაში ამოწვეულ უნდა იქმნას სხვა ახალი პალატი.

გარდაწვევტილებას ხელმეორედ დაამტკიცებთ. ახალს არჩევანში რესპუბლიკას უფრო მომეტებული კენჭი გამოუვა, იგი ესლა უფრო განმლიერებულ იქმნება ვიდრე სხვა დროს. ძველის მიმდევნი სამუდამოდ დამარცხდებიან და საფრანგეთი თავის საკუთარს თავზედ დანდობილი, თავის თავის მოიმედე მშვიდობიანი და ნუგეშით მიეგებება თავის მომავალსა.“

ამ მანიფესტზედ 350-ზე მეტ დეპუტატს მოუწერია ხელი. სენატის რესპუბლიკელებმაც გამოსცეს მანიფესტი, სადაც მოხსენებულია, რომ ივინი ეოველ დონისძიებას იხმარებენ იმ ზოლიტიკის წინააღმდეგ. რომელიც კი საზოგადო მშვიდობიანობას რითიმე ხელს შეუშლის.

— ეველა რესპუბლიკის დასის დეპუტატებს უთხოვნიათ თვისთა მომხრე მოხელეთათვის, რომ თქვენ თვითონ თქვენის ნებით სამსახურიდან ნუ გადადგებითო, ვიდრე ძალად არ გადავაყენებენო.

წვრილი აზრები. ინგლისის მთავრობას შეუთვლია სხვა სახელმწიფოთათვის, რომ ეოველ დონისძიებას ვიხმარებო რომ რაიმე დაბრკოლება არ მიეცესო თავისუფლად სიარულს იმ სახელმწიფოთა სავაჭრო და სამხედრო ხომალდებსა, რომელნიც ომში არ არიან გაბმულნი.

— ამბობენ, რომ ინგლისის ფლოტს ბრძანება მოხვლია შავ-ზღვაში შესვლისა. ეს ფლოტი კიდევ მისულა ათინაში. გარდა ამისა ერთი კორპუსი არტილერიით საბერმნეთისკენ წასულა.

ამით ინგლისს უნდა საბერმნეთს ხელ-ფეხი შეუკრას, რომ ომში მონაწილეობა არ მიიღოსო.

— სტამბოლში დიდი არეულობაა თურმე. სოფტები (სტამბოლის სტუდენტები) შეცვივნულან დეპუტატთა ზალატში და უთხოვნიათ, რომ მუხტარ-ფაშა დააბრუნეთო. სამხედრო მინისტრი, რედიფ-ფაშა არ გვინდაო; მთავრობამ იმდენი შეცადინეობა უნდა გასწიოსო, რომ იმისთანა უბედურება, როგორც არტაანის საქმე, მეორედ აღარ მოხდესო. ხონთქარი დამალულა. აჯანყებულთა წინააღმდეგ ჯარი გამოუყვანიათ და ბევრნი დაუხოცნიათ.

— საბერმნეთი ძალიან აღელვებულია თურმე. მთავრობას ველარ შეუმაგრებია საზოგადოება, რომელსაც ოსმალეთთან უსათუოდ ომის ატენს ჰსურს.

— ევვიპტის მხედრობა ჰასან-ფაშის წინამძღოლობით სტამბოლისკენ წასულა.

„ორიოდე სიტყვა საქალაქო სასწავლებლებზედ“

(„ივერის“ კორესპონდენცია)

კავკასიაში სწავლის საქმის გამგებელის განკარგულებით ადგილობრივ სახალხო სასწავლებელთა დირექტორისაგან ამას წინედ მოუვიდათ მოწერილობა საქალაქო სასწავლებლებს, რომ მათში მეოფთა მასწავლებელთა, როგორც ჰედაგოგიაში გამოცდილ ჰირთა, შეადგინონ სქემა (პროგრამა) საქალაქო სასწავლებელთათვის. თითოეული საქალაქო სასწავლებელი, როცა შეადგენს ამ პროგრამას, წარუდგენს ადგილობრივ დირექტორს, რომელიც თავის რიგზე წარადგენს ტფილისში კავკასიის სწავლის საქმის გამგებელის საბჭოში, სადაც განხილულ უნდა იქმნეს იგი სქემა. — ჯერ-ჯერობით საქალაქო სასწავლებელში მოქმედებს ის პროგრამა, რომლის უმეტესი ნაწილი შედგენილია ტფილისის საოსტატო. ინსტიტუტის მასწავლებელთაგან, რომელთ შორის არც ერთს არ ჰქონია ბედნიერება საქალაქო სასწავლებელის ნახვისა, რადგანაც ამ გვარი სასწავლებელი მაშინ არ არსებობდა კავკასიაში, მაშასადამე, ეს პროგრამა იქმნა შედგენილ მუდრო ოთანში მარტო თეორეტიულ ნიადაცზე. თუმცადა შემოხსენებულ ინსტიტუტთან არსებობდა ორ კლასიანი დასაწეისი სასწავლებელი, რომელიც სხვაზედ უმაღლეს იქმნა გადაკეთებულ საქალაქო სასწავლებლათ, სადაც ეხლა ინსტიტუტის უფროსის კლასების შავირდები ჰედაგოგობისათვის ვარჯიშობენ. მაგრამ ეს სასწავლებელი, ჩემის ჰახროთ, ძლიერ ცოტად აძლევს მასწავლებლებს ნამდვილ ჰედაგოგოურ გამოცდილებას, განსაკუთრებით იმ ნაირ გამოცდილებას, რომელიც საჭიროა ამ გვარის საქმის შედგენისათვის. ამ სასწავლებელში ერთ განყოფილებაში და ერთ სკამზე წის რუსიც, ქართულიც და სხვა გვარ ტომის ბავშვებიც, რომელთა სულიერი და ხორციელი ძალა სულ სხვა და სხვანაირ სფერაშია აღწერილი. მიუხედავად ამ ბუნებითის გარჩევისა შავირდებთა შორის, და წინააღმდეგ ჰედაგოგობის დედა-ჰახროისა, ჰირველ განყოფილებაშივე აქ ეველას ერთ ნაირი წიგნი აქვს, ეველას ერთ სავანზედ უქადაგებენ, ეველას ერთს ენაზედ ასწავლიან, -ესე იგი ეველას ერთგვარ სულიერათ ამზადებენ. (ნუ თუ ჰედაგოგიაშიაც არსებობს ქიმიური ძალა, რომლის გამო სხვა და სხვა გვარ-ნაწილებისაგან კეთდება ერთი ისეთი სხეული, რომელიც არც ერთ წინანდელ შემადგენელ ნაწილებს არ ეგვანება.) გარდა ამისა, ამ სასწავლებელში შედიან შავირდები მახროის სასწავლებელიდან, სასულიერო სასწავლებელიდან, სემინარიიდან, გიმნაზიიდან, რეალურის სასწავლებ-

ბელიდან, სამხედრო სასწავლებელიდან და სხვა ამ ნაირ თითქო განგებ არეულ სასწავლებელს, როგორც უმაღლეს ხარისხად რთულ სავანს, არ შეუძლიან ჰედაგოგობის სავარჯიშოდ შეიქმნას. ამიტომ ეხლანდელი სქემა სწავლისა ბევრად თუ ცოტად ნაკლებია და არ არის რიგიან საფუძველზედ დადგენილი. ამის გამო იქმნა შემოხსენებული განკარგულება სწავლის სქემის შედგენის შესახებ. დიდად სასიამოვნო იქმნება, თუ საქალაქო სასწავლებელთ ოსტატნი რიგიანად აღასრულებენ ამ კეთილ მონდობილებასა. როგორც ამბობენ, ერთ საქალაქო სასწავლებელის (ოხურგეთისა) ჰედაგოგოურმა რჩევამ კიდევაც შეადგინა ეს სქემა. მაგრამ თავიდან ბოლომდის რომ წაიკითხოთ იგი სქემა, თურმე ერთ სიტყვასაც ვერ იპოვით ქართულის ენის შესახებ, თითქო ამ სასწავლებელში ქართულის ენის ხსენებაც არ არისო. მართლადაც ასეა: კვირაში ორი გაკვეთილია *) დანიშნული, ისიც შუადღის ჰირველ საათიდან მეორე საათამდის. ოთხი საათის მეცადინეობის შემდეგ დაღალული, დაუძლურებული მოწაფე უფრო თავის სახლისაკენ მიეშურება, ვიდრე მესუთე, ესე იგი ბოლომდელს გაკვეთილზედ, რომელიც ქართული ენისათვის არის დანიშნული. ეს კვირაში ორი გაკვეთილიც ისე უსულა და აძაგებით მიდის, რომ მოწაფეებს ეკარგება ხალისი არამც თუ ქართულის ენის გაკვეთილის შესწავლისა, არამედ ქართულის წიგნების კითხვისაც. ისიც უნდა ვსთქათ, რომ თუმცა კვირაში ორი გაკვეთილია დანიშნული, მაგრამ ძლიერ ხშირად ერთიც არ იქმნება ხოლმე. ქართულს ენას ან ისეთი ალაგი უნდა ეჭიროს ჩვენს სასწავლებლებში, როგორიც სხვა საგნებს (რუსულს ენას, არითმეტიკას და სს.), ან სულ არ უნდა იუოს.

თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსნი

I

უწავლო სენმა, ეოვლთ მანუქმან გვიკოდა გუღნი, გვეო ჭირთა მთმენად, მგლოვარენად ეოვლნი სულ-დგმუღნი, სუსტ-გვექმნა ვათაგან მთიებთაგან დამორებუღნი; გარნა უფრ ამაღ ეოველქამად ვართ გუღმწველუღნი, რომ ბანონოვანნი, მუნ მავანნი ჰყო დაბზარურღნი.

ეჰა, მნათობთა, ტფილისს მეოფთა გუღნი ღმებთან, სავანთ მტკეპენი, მათთვის მკებნი სოფელს ჰხლებიან! ვარდნი უძლელნი, მიჯნურთ მწველელნი უდროდ წრებთან,

*) ოზს კლასში, მაშ ეროს კლასში კვირაში ერთი გაკვეთილია ქართული ენისათვის.

მათხედ ბუღბუღნი ხელეუღნი აღარ ჰკრებებიან... ამისთვის გუღთა, დადაგუღთა გვენდების სუღნი, რომ ბანოვანნი, მუნ ძავანნი ჰყო დაბზარუღნი.

ჩვეუღნი ღხინსა მაგვცნა ჭირსა უბედობამან, მოგვაკლო შვება, გვძატა ვება შავ-ხვეობამან, მოგვიცვა აღმან, შეუბრალმან, გვალმო გრმნობამან, გვიტევა უოულმა განსაცხრომმა კეთილდღობამან, გვეკევა სასო დაუფასო, ვითომიღვართ კრუღნი, რომ ბანოვანნი, მუნ ძავანნი ჰყო დაბზარუღნი.

როს მწირთა თვალთა, დამაშვრალთა ეცემის ძიღი, წარმოუღების კეთილ-დღების შვება განვღიღი, თავსა ახარებს, მათთან არებს გუღი ბრძობიღი არ უწეის, რომე თვისთან მჯდომე არს ოღენ ჩრდიღი. გარნა განღვიღით, ოხვრათ აღძვრით ეახლეღი წელუღნი, რომ ბანოვანნი, მუნ ძავანნი ჰყო დაბზარუღნი.

ნეტა ხიღვა როს უკვ-მეღიწოსს ეღისეს ველთა!... მუნ ვინარებდე, ვიქარვებდე განვღიღთ ჭირთ-მწვეღთა, მდელთა სუნსა, მოსასურნსა ვჰუნოსვიღე მრთელთა, ვჰხედვიღე უოულთა განხარებულთ კეთილ-მღღევეღთა!... მე აწ მტირალმან მუნით ვჰზოვო ნუგეში სრუღნი, რომ ბანოვანნი, მუნ ძავანნი ჰყო დაბზარუღნი...

II

ანაზღად ხიღვამან მე შენმან, მზეო, ასე მძღია და წარმსტაცა გღან გუღი!... ტანო აღვავ, წვღიღო სინაზით მრხეო, სიგრიღესა შემივრღომე დაგუღი!

უსერავს გღან-გუღი შენთ ისარტ ზირსა, აწ გენუკვი წამღად ას ძვირ-საღიწსა... გთხოვ, გუღს ვაბგერ მწარის ოხვრის საუვირსა, სიგრიღესა შემივრღომე დაგუღი!

ვაიმე თუ არ მისმინო ღმობითა, სევღის ჭური მით მრჩობღ შეჰქმნა თმობითა!... შემიწეაღე, შენ მიერ ვარ თრობითა, სიგრიღესა შემივრღომე დაგუღი.

ოსმალოს საჰართველო

მას შემდეგ რაკი ცოტა ოღნად აღვწერეთ აღგიღ-მღებარეობა და ისტორიული ვითარება ოსმალოს საქართველოსი *) სასურვეღია ვიცოდეთ მისი ახლანდელი მმართველობითი წუობიღებაცა.

მთელი ოსმალოს საქართველო არის გუბერნია, ანუ ოსმალურათ სანჯახი. ამ სანჯახს ოსმალეღი ღაზისტანის სანჯახს ეძახიან. ოსმალეთის სახელმწიფო წუობიღებაში რამდენიმე გუბერნია, ანუ სანჯახი შეერთებულა ვაღიეთად და ემორჩიღება ვაღის, ანუ გენერალ-გუბერნატორს, სანჯახის უფროსი არის მუთესარიფი, ანუ როგორც ჩვენში გუბერნატორი.

ღაზისტანის სანჯახი ეკუთვნოდა აღრე ახალციხის ვაღის, ახალციხის ფაშას. როღესაც 1829 წელს რუსებმა ოსმალეთს ახალციხე ჩამოართვეს, მას შემდეგ ოსმალოს საქართველო ტრანზიონის ვაღის მიუწერეს. თუმიცა ღაზისტანის სანჯახი ტრანზიონის ვაღიეთს ეკუთვნის, მაგრამ იმას არ ექვემდებარება: ეოვეღს საქმეებში ზირღაზირ სტამბოლთანა აქვს საქმე. ღაზისტანის სანჯახის მუთესარიფს (გუბერნატორს) ფაშის ხარისხი აქვს და ბინა ამისი ბათუმიან. ამ გვარათ, მოკლეთ რომა ვსთქვათ, ეხლანდელი ოსმალოს საქართველოს მმართველი ბათუმის გუბერნატორია (მუთესარიფია). იმ გვარათვე როგორც ეხლა ჩვენში გუბერნია უეზღებათ იყოფა, ღაზისტანის ს ა ნ ჯ ა ხ ი იყოფება ე ა ზ ა თ, უეზღის უფროსის ანუ კ ა ი მ ა მ კ ა ი ა ს მმართველობის ქვემე. ოსმალოს საქართველოს, სანჯახს ამ ჟამათ ექვსი ეაზა აქვს. ეოვეღი ეაზა კიღევ ნაწიღებათ ნ ა ს რ ე თ იყოფა როგორც აღრე ჩვენში უეზღი უჩასტვათ იყოფებოდა. ნახიეს მმართველი არის მ უ ღ ი რ ი. მთელ ოსმალოს საქართველოს ექვს ეაზაში არის თერთმეტი სამუღირო, სახელღობ: 1) ბათუმისა, 2) ჩურუქ-სუს (ესე იგი ქობულეთისა), 3) ზეღა-აჭარასი, 4) ქვეღა-აჭარასი, 5) მაჭახელის, 6) ღივანას, 7) გუნიისა, 8) სოფისა, 9) არხავესა, 10) ხემშინისა და 11) ათინასი. — გუნიეს, სოფას და არხავეს ნახიები არიან სოფას ეაზა; ხემშინი და აღინა ათინის ეაზა და ეს ორი ეაზა ანუ უეზღი არის ჭანეთი, ისე როგორც თელავისა და სიღნაღის უეზღი კახეთია. ამ გვარათვე ზეღა და ქვეღა აჭარა არის ერთი უეზღი (ეაზა), ბათუმი და ქობულეთი (ჩურუქ-სუ) ერთი უეზღია; მაჭახელი და ღიკანაც ერთ უეზღათ არის და სხვანი ამ გვარათ.

*) „ივერია“ № № 8 და 9.

ხვანთქრის მმართველობამ დიდი წინააღმდეგობა და ბრძოლა გამოაჩინა სანამ ოსმალთს საქართველოში თავის წესებს შემოიტანდა. წარსული საუკუნის ბოლოს ათაბეგების უკანასკნელი ჩამამავალის ახალციხის შარიფ-ფაშის დროს ახალციხეში ძალიან არეულობა იყო და ამ დროს გაძლიერდა აჭარის ბეგის გვარი ნიშნაშვილებისა, ამ გვარი-საგანმა ახმეთ-ბეგმა შარიფ-ფაშა ახალციხიდან განსდევნა და ამგვარათ ძველ ათაბეგების გვარის მაგიერათ დაჯდა ნიშნაშვილების გვარის კაცი. ამან შემოიტანა მთელ ოსმალთს საქართველოში ოსმალთს წესები და დაამკვიდრა ოსმალთს მთავრობა. დიდათ ებრძოდნენ ევლგან მეტადრეჭანები, რომელნიც თავის ნებით მოქმედებდნენ და ხვანთქარს თითქმის არ ემორჩილებოდნენ. ახმეთ-ბეგმა აჭარელები ჭანეთში მიიყვანა 1819 წელს და სულ დასწვა-დადავა. ამ ომის დროს ჭანის დედაკაცებიც კი ომობდნენო. დაიმორჩილა ჭანებიცა და ამ დროდამ იწეება ოსმალთს გაძლიერება მთელ ოსმალთს საქართველოში.

როგორც ნიშნაშვილებმა შემწეობა მისცეს ხვანთქრის მთავრობასა, ამ გვარათვე სხვა თავად-აზნაურებმა აღმოუჩინეს ოსმალთს მთავრობას თავისი შრომა და ამ ჟამათაც მმართველობის მოხელენი (ჩინოვნიკები) სულ ადგილობრივი ბეგები (თავად-აზნაურები) არიან: გამოჩენილი გვარები არიან ევლანზე უპირველესნი მთელ სანჯახში ნიშნაშვილები და ამათგან შარიფ-ბეგი. მერმე თავდგირბიები, ესენი აჭარაში და ქობულეთში, ჯაყვლები (ძველი ათაბაგის შთამამავალნი), მაშუეთში და სხვანი.

მუთესარიფი, კაიმაკამი და მუდირები, როგორცა ვთქვით, ამ გვარებისანი ინიშნებიან მმართველობისაგან და მმართველობა ამით ეკუთვნით. სანამართლო ადგილები უჭირავთ მოსამართლეებს, რომელთაც ხალხი არჩევს, როგორც ჩვენში სოფლის საზოგადოებანი არჩევენ. ეს სანამართლოები შეიკრიფება მეჯლისად და ამათში მმართველს დიდი ხმა აქვს, ასე რომ ბევრჯერ ბეგები თითონვე ანამართლებენ საქმესა. ამას ჩვენ ვამბობთ რაც დღევანდლამდეა და ამას შემდეგ რადგანაც ოსმალთს სახელმწიფოში კონსტიტუცია მიეცა ხალხსა, რა საკვირველია, სამართლისაც. სხვა წესები უნდა შემოვიდეს.

როგორც ოსმალთს ეველა მხარეს ოსმალთს საქართველოშიაც ეველა საქმე ოსმალთს სახელმწიფო კანონითა რიგდება, მაგრამ აქამომდე ძველ ქართულ ადათს და ჩვეულებას საქმეების მართვაში დიდი ძალა აქვს, ასე რომ ეველაფერი ძველის ძველის ქართველურის ადათითა რიგდება, ისეთით რომელსაც ზოგს ვახტანგის კანონებში ვხედავთ და ზოგი არსად არცაი მოიძებნება და ამით შესასწავლებლად ფრიად შესანიშნავი არის.

აქამომდე ხვანთქრის მმართველობა საქართველოს ნაწილს ისე უუტრებდა, როგორც ხარჯის მძლეველ ადგილს, — ოდომცკი ხარჯი მამეციო და სხვაში კი თავი ქვანა ჰკარიო. იქაური მოხელენი ისე უუტრებენ თავის თანამდებობას, რომ თითქოს იმათი საქმე მარტო ხარჯის კრეფა იყოს. ხალიც ამ გვართა უუტრებს მოხელეებსა და მთავრობის კაცსა, რომ ხვანთქრისათვის ხარჯის მკრეფელნი არიანო და ამ მოკრეფელში თითონაც წილს იღებენო. ამას ის გარემოება მოსდევს, რომ არავინ არა თხოულობს და არა ზრუნავს არც წესიერ და მართალ მსახურებაზე, არც გზებზე, არც სწავლაზე და არც ქურდობის მოსპობაზე. ეს ნამდვილი კუთუნილი საქმეები, რომელიც მთავრობის კაცების დიდი მოვალეობა უნდა იყოს, არავისთვის თითქო საგრძნობელი არ იყოს და არავინ არა სჩივის ამის უქონლობას და ხმას არ იღებს. ხალხისა მარტო ერთი სურვილი ის არის, რომ ხვანთქარმა ხარჯი არ მოგვიმატოსო.

მაგრამ ეს უბრალო მოთხოვნილება ხალხისაც არა სრულდება და ხარჯი თან და თან მატულობს. პირველათ თითქმის სანა ხარჯი არ იყო და მარტო ვალათ ედვათ ომის დროს ჯარში გამოსულიყვნენ (მაგალითად აჭარაში) ახლა დიდი ხარჯი აძევთ. ამ ხარჯის მომატებას კი ის მოსდევს, რომ ხალხის უკმაყოფილებაც თან და თან მატულობს და ბოლოს ვინ იცის ხვანთქრის მმართველობამ რა ხეირი ნახოს.

აი რა და რა ხარჯია დადებული:

1) ტ ა ხ შ ი რ ი (მამულის ხარჯი): ეოველმა კომლმა სახელმწიფოთ მიწის მოსავლის მეათედი უნდა შეიტანოს. აჭარაში ეოველ სოფელში ან თემში ამ ხარჯის მომკრეფს (მუხტარს) ირჩევენ, სხვაგან კი იჯარით მიეჯარადრეს აძლევენ. ამათ თვალ-უური უნდა ადვენონ და ხარჯის ზომა დასდვან. ამ გვართა მკრეფილი მოსავალი ფულათ უნდა აქციონ და ეახს (უეზდის) ხაზინაში შეიტანონ.

2) ს ა ლ ა ნ ი: ეს ხარჯი გუბერნიის, უეზდის და უხანსტკის მოხელეების ჯამაჯირათ მიდის და ამის ზომას მთავრობა თვით ნიშნავს და მერე კომლ-კომლათა ჰყოფენ და ვისაც რამდენი ერგება იმდენი შეაქვთ.

3) რ უ ს უ მ ი: ცხვარზე და თხაზე სულზე სუთი მაური.

4) რ უ ს უ მ ი: მწველელ საქონელზე სულზე გირვანქა ნახევარი ეობო.

5) გ ე რ ბ ი ს ქაღალდისა მამულის შესვიდვისა.

6) თ ა მ ბ ა ქ ო ს თესვის ბაჟი.

7) გ ზ ი რ-ი ა ს ა უ ლ ე ბ ი ს (ზაფტების) გზის ხარჯი. ეს ფული ხაზინაში შედის.

ამ ხარჯს მოიჯარადრე ჰკრებს და მუდირს (უხანსტკის უფროსს) აძლევს, მუდირი თავის კანცელარიის ხარჯს

გამოდის და დანარჩენს ბათუმის გუბერნატორთანა
გზავნის.

ეს ხარჯი რიცხვითა შუა ანგარიშით კომლზე
თუძანსე მეტი მოდის. ეს ხარჯი კარგი მძიმე ხარჯია,
მაგრამ მაინც ისე საგრძნობელი არ იქნებოდა, რომ
იჯარით არ ეძლეოდეს, ამ ხარჯს მოიჯარადრები
ჰკრეფენ და ერთი თუძნის მაგიერათ ორსა და სამსა
იღებენ თავის ჯიბისათვის. აქამდინ მხოლოდ
აჭარაში ვერ გაუბედნია ხვანთქრის მმართველობასა,
რომ მეიჯარადრებს მისცეს ხარჯის კრეფის ნება და
ამიტომ აქ ხალხს თვისგან ამორჩეული ხარჯის-
მკრეფელი ჰყავს. შავუთში, ლივანაში, ქობულეთში
და ჭანეთში კი ხარჯს იჯარადრები ჰკრეფენ.

ამ შემოსენებულ ხარჯს გარდა ხალხს კიდევ სხვა
ხარჯი და ბეგარა ადევს. მაგალითად ლესნიხების
(ტყის მოხელენი) ხარჯი და ყოველ ძირ ნეხილის
ხარჯია, რომელნიც მხოლოდ აჭარაში არ არის და
სხვაგან და ყოველგან განწესებულია. ვისი კეთებაზე
უსასეიდლოდ გამოსვლა ყოველ კაცს ვალად ადევს.
სხვა და სხვა წვრილ ხარჯებს გარდა ავაზაკების
დამჭერად ყოველ ნახიეში კანონით დაწესებულია
რვა კაცი ჟანდარში, რომელსაც ჯამაგირი არ ეძლევა.
ესენი დაიარებიან სოფლებში ავაზაკების საძებნელათ;
ხადგებიან ერთ სოფელში მუქათა სჭამენ, სძენ და ახლა
მეორეში მიდიან. ამ გვარათ სოფლები დაწოკებული
ჰყავთ. ამ კაცების უფროსები (კირ-სარდარები) თავის
ამალით რადგანაც არაფერს არ იღებენ ემსგავსებიან
ნამდვილ ავაზაკების თარეშებს და ხალხს ცხადთ და
მოურიდებლათა სცარცვენ. კირ-სარდარის თანამდებობა
ფულით იეიდება და ვინც მეტს ქრთამს მისცემს ბათუმის
გუბერნატორსა, იმასა ნიშნავს.

მაგრამ მარტო კირ-სარდარები კი არა, სხვა თა-
ნადებობაც ფულით და ქრთამით იეიდება, ვინდ კაი-
მაკამის ადგილი იყოს, ვინდ მუდირისა. რა კი ახალი
გუბერნატორი (მუთესარიფი) დაჯდება, მაძინეუძეულებსა
სცვლის და მეტის ქრთამის მძლეველ მოხელეებსა ნიშნავს.

ამ გვარათ ყოველი ხარჯი, რასაკვირველია, ხალხს
აწევება და თან და თან მატულობს.

საყოველთაო ხარჯათ უნდა ჩავთვალოთ აგრეთვე
საღდათის და მილიციის გაყვანა, რომელიც ვაის
ვაგლანხით სრულდება და ხალხი მომდურავია.
საღდათის გაყვანასე რამდენჯერმე აჯანყება მოხდა
ოსალოს საქართველოში და ხარჯის მომატებაზე
ხომ, მაგალითად, ამ ოთხი ხუთი წლის წინათ
თოფ-აიარადში ჩაჯდა მთელი ქობულეთი და სანამ
მმართველობამ არ გამოუცხადა რომ ისევ ძველი
ხარჯი დარჩება, არ დამშვიდდა.

თუძნა ოსმალოს საქართველოდამ შემოსავალი
კარგი აქვს ხონთქრის მმართველობასა, მაგრამ
ხალხის სასარგებლოდ და მოსახმარისად არ

იხარჯება. მაგალითად ზედა აჭარადამ წელიწადში
შემოსავალი არის თითქმის ათას ხუთასი თუძანი.
დანახარჯი სულ ორას თუძნამდინ არცკია და ესეც
მარტო მოხელეებზე იხარჯება. არც ვისი კეთებაზე,
არც შკოლები განსნაზე, არც მართლმსაჯულებაზე
და სხვა მრავალგვარ ხალხის საჭიროებაზე
მმართველობა არაფერს არა ხარჯავს და ათას სამასი
თუძანი თითქმის სულ სტამბოლში მიაქვს.

ამ მდგომარეობაშია ოსმალოს საქართველო
ამ ჟამათ და ამისთანა მმართველობაა იქა. ყოველ
სოფელში და ქალაქში მართალია მეხითებთან და
ქრისტიანთა ეკკლესიებთან შკოლებიც არის და
მოსამართლე-მსაჯულებიც არიან, მეხითები და
ეკლესიებიც შენდება, მაგრამ იმათს ხარჯს თითონ
ხალხი ეწევა და მთავრობა არ ერევა. ამას კიდევ
გავიმეორებთ რომ აქამდინ ასეა და ამის შემდეგ
კონსტიტუცია თუ დამკვიდრდა ოსმალეთში, იქნება
სხვა წესები შემოვიდეს და ვეღვა რიგში ჩავარდეს
გარნა მომავალი უწეის მხოლოდ დმერთმა.

ბლენის ნაამბობი

V.

(სცენისათვის)

..... ამ ჩვენი მამასახლისისთანა უსამართლო
და კერპი კაცი მგონია დუნიაზედაც არ
იპოვებოდეს, გამჩენის მადლმა!.... ლამის თავი
დასახრჩობათ გამიხადოს.... ეხლა ერთი საბევრო
ურემი შამოუწერია ჩემთვის, „ჩარექის“ კაცი
ხარო....რის ჩარექის კაცი ვარ?...ერთი ტლუ
ბიჭი ავყუდებულვარ... ეხლა მე რომ ბეგარაზედ
წავიდე ურმითა, ან ვენახი ვილანამ გააკეთოს,
ან ვინა ხნას, ან ხელმწიფეს რილათი ვემსახურო,
ან ცოლ-შვილი რით ვარჩინო?... მე ვუთხარი:
მამასახლისო, მაგას ნუ ინებებ მეთქი, ეს მაინც
დამაცალე, რომ ალო გამოვიყვანო მეთქი....

შენც არ მომიკვდე!.... შამომიტია: „წვეთრიე,
თორემ ციმბირში გიტუსამ თავსაო“!...საციმბირო
რა დავაშავე?... მერე მოვახსენე: მამასახლისო,
„ქული დადე და სამართალი ისე გასჭერ“
მეთქი....., მე ოჯახ დაქცეულო, მაშ კვრივებს ხომ
ვერ გავრეკამო“.....აი ოჯახი დაექცეს იმას!....
შროშანანათ საბედა, თუ ქვრივია, ოთხ-ოთხი
უღელი ხარ-კამბეჩი არ უბია გუთანში და ოროლი
ტროყი იმერელი არ გადაჰფაფრებიან ზედა და
ზვრებს არ უკეთებენ... მსუქანმა დედლებმა იცის,

და!...შხამით ამოადინოს იმას ქრისტე ღმერთმა!...
 ჩარეჟის კაცი ხარო!...მაშ ღირლიტაანთ თედუა
 რატო არ გაგზავნის...ისიც ჩარეჟის კაცი არ
 არის?... ან, კიდევ ცერაანთ ტეტია?...ის უფრო
 ჩემზედ შეძლებული არ არის, შვილოს!?...მაგრამ,
 ნათქომია: „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“!...
 გადააფარა განა, იმათ, თავის დურა ტყავი?...
 ვაი...ი...ი, დედი ჩემი ღმერთსა?... რა ვქნა, სული
 როგორ წავიწყებინდო, თორემ მე ვიცოდი რასაც
 ჩავიდენდი...ეს ალოც არ გამამაყვანია...რა
 ვქნა, უჩივლო, რა გამოვა, თუ არა და—ვიღუპები,
 ბეჩავი!...

ახალ-გაზრდა გლეხის ნაამბობი

VI.

(სკენისათვის)

.....ოჰ, დავიღალე! ი დასაქცევი მკითხავიც
 ვერ დავახელე სახლში...აღარ ვიცი რა ვქნა....
 ნათქომი კია რომ „ოხერ ეკლესიას ეშმაკები
 დაეპატრონებიანო, მაგრამ ჩემი სახლი რალამ
 გააოხრა?... სამ-სამ ვაჟი კაცი ვტრიალებთ ფეხზედ
 და ამოდენა ჯალაბობა კიდენ სხვა არის...მაგრამ,
 ე ქაჯები და კუდიანები რომ შამოგვეჩვივნენ, ამისი
 ფიქრი კი ძალიან მიღონებს...ეს ერთი თვეა აღარა
 მოგვისვენეს: ხან კენჭებს ისვრიან ჩვენ დერეფანში,
 ხან უსტვენენ...აი, დასწყევლოთ სამას სამოცდა
 ხუთმა წმინდა გიორგიმ!....

წუხელ კიდენ ერთი ალიაქოთი აგვიყენეს
 სახლში...ის იყო ვახშამი გავათავეთ თუ არა და
 შეიქნა რალაც ფაჩი-ფუჩი ამ ჩვენი ბოსტანისკენა...
 ძაღლებიც სულ ერთიან ზედ დაედნენ ი ბოსტნის
 ღობეს და შექმნეს საშინელი ყეფა...ვიფიქრე
 მგელი ხომ არ მოგვივარდა მეთქი...ი ბოსტანში
 ერთი თოხლი რამ მება... წამოვავლე მუგუზალს
 ხელი და მივაშურე; ტეტიაც თან გამომყვა...
 გადავიჭერ ბოსტანში თუ არა და ერთი ბრაგა-
 ბრუგით რალაცა კი გარბის...ყური დაუგდე,
 ღობეს ლაწი-ლუწი აადინა და გადაფრინდა
 ღობეს გადაღმა...გავტრუნე სული—ფშვინვა
 შამომესმა; მივანათე მუგუზალი, დახვდე, ჩემი
 რძალი კი გდია, გადაშლართული, კვალში...აი
 გამიწყრა ღმერთი!...არაქა წყალი მეთქი!...აბა
 მანამ წყალი მოიტანეს, მანამ მოვაბრუნეთ, გდია
 ე დედაკაცი და ასეთი ფერი კი აძევს როგორც
 ყვითელი ბაია!...გამჩენის მადღმა!...აეწიეთ, შინ
 შემოვიტანეთ და დღევანდლამდის გონზედ ვეღარ
 მოვიყვანეთ...დღეს ძლივს ენა ამოვადგმევინეთ

და რო ჩავკითხეთ, იქ რას აკეთებდით, ან ვინ იყო
 ისე მწარეთ რო გარბოდაო, ასე გვითხრა : „მეც
 ვიციო, სტაფილოსა ემარგლავდიო, ჩამთვლიმაო
 და ამ დროს მაჯლაჯუნა დამაწვა თავზედაო!...
 ის იყო თქვენც მოხვედითო, მე გულს შემომეყარაო
 და აღარა მახსოვს რაო“ დასწყევლოს წმინდა
 გიორგიმ!...ყველაფერი მონავალი კაცის თავს,
 მაგრამ, ამას კი ვერ მივხდი, ან რა დროს სტაფი-
 ლოს მარგვლა იყო და ან მღვიძარე აღამიანს
 მაჯლაჯუნა როგორ დააწვა თავზედ. აბა მე
 კუდიანი სად მენახება და ცხონებული მამაჩემიკი
 იტყოდა ხოლმე „მე მინახამსო...ბანლიანიო“ ...
 ჩემმა რძალმაც ისე თქვა: „ბანჯგვლიანი იყოვო ...
 ეხლა ამაზე ვივავ მკითხავთან და ვერა ვნახე.
 წავიდე ისევ ღედელი მოვიყვანო, სახლ-
 კარი გავანათვლინო, თორემ ამაღამ ბაღლები
 დაგვეოცებოდა შიშით.—

რაფ. ერისთავი.

ჩვენის ისტორიისთვის მასალა.

(შექცეო.)

ღროსა ამას განურისხდა დადიანი ლეონ შარვაშიძეს
 ბეჟანს და შეიშურა და ზატომარ ჰყო ციხესა შინა
 ჭაჭიჯიხისასა, და თხოვითა თავადის დიმიტრის ზა-
 ხარვიხის ორბელიანისათა განუტევა იგი, ხოლო
 ეოველი სამურძეანო აფხაზეთი მიათვალა და მიაბარა
 საუფროსოდ და საგამკუებლოდ სიძესა თვისსა მანუხარ
 სოლომინის ძეს შარვაშიძესა, არა თუ სიმობისათვის
 ზატევი სცა ესრეთ, არამედ ვინათგან იყო იგი კაცი
 სახელოვანი და საქმესა შინა მარჯვე.

უპირატეს მძარტებელი საქართველოსა ტორმა-
 სოვი სხვათა და სხვათა კეთილწინა დადებითა
 უჩვენებდა მეფესა იმერეთისასა, რათა მორჩილ ექმნას
 რუსეთის იმპერატორსა და ერთულებდეს მას, თორემ
 შეინანებ მოქმედებასა შენსაო. გარნა არა რომლითაჲ
 კეთილჩვენითა არა იწადა დამორჩილება ამისი.

ამათ ჟამთა შორის მოუვიდა ბრძანება ტორმასოვისა
 თავადს ორბელიანს, რათა მოადგეს ციხესა ფოთისასა,
 მაშინ მეოფემან ეუღევს ორბელიანმა შემოჰკრიბა მხედ-
 რობა იმერეთსა და სამეგრელოსა შინა მეოფე მხედრობა
 დადიანისა, და წარვიდა თვით და მასთანა მთავარი ლეონ
 დადიანი და დავებარგეთ მახლობლად ფოთისა, და იყო
 ციხესა მას შინა ბათომის ბეგი ქუჩუბეგ შარვაშიძე და
 ჰეჟანდა მეციხოვანედ ექვსასი კაცი ოსმალისა და იყო
 მომხადებულ მას შინა. დილა რა გათენდა, მიბრძანეს მე
 მთავარმანცა ჩვენმან და დუნერალმანცა, რათა აღვიდო
 ქალაქი ფოთისა. წარვედი სამეგრელოს რამოდენითაჲ

*) „ივერია“ № 5.

მხედრობითა და ჩემთანა შარვაშიმე მანუხარ და შევედით რა ქალაქად შეკვეყმნა ჩხუბი სასტიკი, რომელ ოსმალთ განემარებინათ სახლნი და ქუჩანი. ვარნა შემდგომად ბრძოლისა განუსდევნეთ ივინი და შევეარნეთ ციხესა შინა, და ჩვენ დავიპყრით ქალაქი და მიუტანეთ საფარი მახლობლად ციხის კარისა, და დავსდევით. მაშინ მოვასხენეთ რა მთავარსა ჩვენსა და ღენერალს, მოვიდნენ სრულის მხედრობითა და შემოვსლუდეთ ირგვლივ ციხე. მთავარი და ღენერალი საკმაოთა მხედრობითა დასდვენ ზემოთ ციხისა და შემოვსლუდეს, მარწმუნეს მე სრული სამეგრელოს მხედრობა და როტა ერთი რუსთა მხედრობა თვისის არტილერიითა და დავსდევ უკანით ციხისა და შემოვსლუდე ბოლოზიდაი ვიდრე ციხეს გარემომდე და დავსდევით ესრეთ.

მაშინ ესრანა მეფე სერესკალსა შერიფ ფაშასა, რათა მოვიდეს მხედრობითა ოსმალთათა და აქით თვით მეფე მთავიდეს ფოთს და აქით აქათ მოდგომილთა დაამხონ დადიანიცა და რუსთა მხედრობაცა. მაშინ შეიკრიბა სპანი ოსმალთანი სერესკალსა შერიფ-ფაშამ და მოვიდა ბათუმს და დასდგა მუნ; წარმოავლინა ცხრა ათასი კაცი და მხედართ მძღვანად ტუსჩი ოლლი. წარმოვიდნენ და მისცა გზა ზღვით და ხმელთ გურიელმან მაშიამ, ვინათვან ჟამსა მას ერთგულებდა გურიელი მაშია იმერეთისა მეფეს სოლომონს, ამისთვის რომელ მარიაი დედოფალმან მეუღლემან მეფისამან, დადიანის ასულმან მისცა დედით ბიძა შვილი თვისი გიორგი წულუკიძის ასული მაშიას ცოლად, და ესე ვითარითა მოიდებულეებითა ერთგულებდა მას ჟამსა მეფესა. მოვიდნენ ოსმალნი და დაეხანაკენ გრიგოლეთსა და მალთაჟვას საშულ. მაშინ მიბძანეს მე და მომაცალეს უკანით ციხისა, წარიუხანეს და მალთაჟვას საშირდაშიროთ დამეყენეს სერასკლისა; და მომცეს ერთი როტა რუსთა და ორი ზარბაზანი და ჩემნი საკუთარნი ემანი და ჩემთანა დავით გურიელის მე ოცდა ათითა თვისის ემითა, რომელიც იყო ვარდმოვარდნილი თვისის სამეკიდროსაგან და იყო მთხოველად რუსთა თანა. და დავსდექ ამა მცირითა მხედრობითა მეშირდაშირედ სერესკლისა, ვინადგან მხედრობა მცირე იყო რუსთა და სამეგრელოისა ცა ჰაერის სნეულებისა გამო.

შემდგომად სამისა დღისა მოვიდნენ, მათაჟვის გაღმით ვააკეთეს დიდი საფარი, მოიტანეს ზარბაზანი და დავიწყეთ სასტიკი ბრძოლა, რომელ თოფთა და ზარბაზანთა ხმა ვედარ გაიხრეოდა სიმრავლისა გამო; და ესრეთ დაუცადებულად ვიბრძოლეთ თორმეტი დღე და დამე, და რა ვსცანით, რომელ არ ძალ-ურეს არც ამით აქეთ ძალთ გამოსვლა და არცა ჩვენ, და სხვა ღონისძიება არა რაი არს, ამისთვის ვიწყეთ საუბარი გურიელისადმი, რომელ ქმნას ერთგულება ხელმწიფე იმპერატორისად და უკანით დაესხას ოსმალთ მხედრობასა. ამისთვის იწყო კინაზ ორბელიანმა არხიერის ჯუმათლისადმი საუბარი არხიმანდრიტის დონდოლამის შირით, რათა შეასმინოს გურიელსა, ხოლო მე ვანტანგ როსტომის მის ერისთავთა თანა, რომელი იყო ცოლის ძმა ჩემი

და მას ჟამსა შირველობდა სრულსა გურიისა ზედა. და ესე ვითარის მოქმედებით ვარდმოვობირეთ გურიელი მაშია და შეუდგა თხოვნისა ჩვენსა, უბრძანა ვანტანგ როსტომის ძესა ერსთავსა შეიკრიბნა სპანი გურიელთანი და დაესხა გრიგოლეთს დაბანაკებულთა ოსმალთა და შეიქმნა სასტიკი ბრძოლა, სადა მამაცად ბრძოდენ გურიელნი. აქათ ჩვენ გავედით სპითა მენგრელთათა და რამოდენთა მხედრობათა რუსთათა, მიუხვდით აქათვან ჩვენ, ხოლო მუნით გურიელნი და ვავსწვიდეთ, მრავალი ცოცხალი დავიხრინეთ და რომელიცა ვადარჩენ, ვაქცენ ზღვით ჭურჭლებით და ჩვენ ალაფითა სავსენი კვალად ფოთს მოვუდით.

მხილველმან ამისმან გუხუ ბეკმან, მეოფმან ციხესა შინა და უღონო ქმნილმან იწყო საუბარი და მოგვცა ციხე, და იგი და მსლენი მისნი მეციხოვანენი გაუშვით მშვიდობით. და რა მოვადექით ციხესა მუნითვან წიებული მესამეს თვეს ალვილეთ ციხე და შევედით მას შინა დიდითა ცერემონითა და მხიარულებითა; დაუტკვეთ მას შინა მცველი მხედრობა და ჩვენ წარმოვედით ესრეთ გამარჯვებულნი სახლად ჩვენსა. ხოლო მეფემან იმერეთისამან ვერ სრულ ჰყო ვანზარბა თვისი და დაძა ესრეთ.

შემდგომად რამოდენისამე ჟამისა წარმე ზავნა მე კინაზმა ორბელიანმა მაშია გურიელისადმი და მოსცა გურიელმა ამაღ თავი როსიისა ხელმწიფე იმპერატორსა და წარმოუგ ზავნა ტრანსკატნი, თუ ვითარ ჯერ არს შემობასა შინა შესვლა, რომელი თვით მე ალვსწერე. და მიიღო ხელმწიფე იმპერატორმა საფარველსა და ემობასა შინა თვისისა და მოუბოძა ჩინი ღენერალ მაიორობისა ორდენი წმინდის ანისის შირველისა კლასისა და დრომა სამთავრო და ვრამოტა და იქმნა ერდგულ ემად ვიდრე დემდე. ხოლო ფოთისა ალვისა და სერესკლის დამარცხებისათვის ჯილდოთ ჩვენისა შრომისა ხელმწიფე იმპერატორმა ალგავსოწვალობითა, მთავარი ჩვენი და ჩვენ ეოველნივე. და ეგრეთვე ღენერალი თავადი ორბელიანი და მსლენი მისნი მხედრობანი. — შემდგომად ამისა საქართველოს უშირატეს მმართველმან ღენერალმან ტორმასოვმან მოუწოდა თავადან ორბელიანს საქართველოდვე და იმერეთს წარმოგ ზავნა ღენერალ მაიორი ფედორ ფილიპოვიჩი სამონოვიჩი, ხოლო რა სცნეს რუსთა ჭემდარიტებით, რომელ მეფე იმერეთისა არა მოდრკების ერდგულებანსა ზედა ხელმწიფე იმპერატორისასა და არა ვანგდებს ერთგულბასა შორტის ათამანისასა და არა დააცხრობს წინააღმდეგსა საქციელსა, ამისათვის უბრძანეს მთავარსა სამეგრელოისასა ლეონს გრიგორის ძეს, რათა შეერთდეს იმერეთის მართველის სვიმონოვიჩთან და ვანდევინ მუფე იმერეთით და დაიპუროს იმერეთი ხელმწიფე იმპერატორმა. შეიკრიბა სპანი მეგრელთანი ლეონ დადიანმა ვავედით ციხის წიალსა და დავებანაკეთ ჯიხაიშს, ვავიდა იქ ღენარალ სვიმონოვიჩი მხედრობითა და შევერთდით. ხოლო მეფე იდგა იმერელ სპითა ვარდციხეს. ხოლო ხელმწიფე

იმპერატორს უერდგულეს იმერეთს ამათ. ეოვლად საძლდელო გენათელ მიტროპოლიტმა ეფუთამი, თავადმა სახლთ-უხუცესმა ზურაბ ქაიხოსროს ძემ წერეთელმა, თავადმა ოტიაშ და სენნიამ წულკიძემ და ესენი იუვენ ჩვენთანა და სხვათა იმერეთთ მოუკლებელი იდგა მეფე ვარციხეს. აღვმხედრდით და წარვეთ მეფეზედ, რათა მოვადგეთ გარს, და რა ცნნა, მეფემან მისვლა ჩვენი, ვერლა იკადრა ზირისზირობა, წარვიდა ახალ-ცინის მთის კალთასა შინა ხანს და ჩვენ მივედით ვარდ-ცინეს. ვსცანით რა წასვლა მეფისა ხანს, შეუდქით უკან მისა, და მივედით ბაღდადს და დაესდქით. მცნობი ამისა მეფე იმერეთისა ვერლასად წარვიდა და მოვიდა სვიმონოვისა და ჩვენთანა; და გამოუცნადა სვიმონოვმან, რათა წარვიდეს საქართველოს მთავარმართებელის ტორმასოვისა თანა. დამორჩილდა მეფე, და შემდგომად ერთის კვირისა წარვიდა მეფე რამოდენითა თვისითა თავად ახნაურითა და მივიდა ტფილისს ტორმასოვისა თანა. მან გამოუცნადა, რათა წარვიდეს რუსეთად და დააქენეს ეარაუღნი, რათა არა ივლტოდეს სადაჲ და რუსთა დაიპყრეს იმერეთი ვითარცა საქართველო წელს ქრისტესით, 1810.

და ეოა მეფე ტფილისსა შინა. მაშინ დამით გაიზარა თვის მხლე თავად ახნაურითა და შევიდა ახალ-ცინეს; იმოვა რამოდენიმე ლეკთა ჯარი და შთამოვიდა იმერეთს. და მივიდა მისა ეოველი იმერეთი თვინიერ გენათლისა, ზურაბ წერეთლისა და ოტია და სენნია წულუკიძისა. და ესენი ერდგულეებდა რუსთა. მაშინ იმერეთისა მმართველმან ფედორ ფილიპოვიჩმან სიმონოვმან მოიწვია თვისის სზითა დადიანი და წავედით და განვედით იმერეთად და შამოკვეერთდა ჩვენ რუსთა მხედრობა. და რომელი არა მოვიდოდა ერთგულეებსა ზედ ხელმწიფე იმპერატორისასა ვსწავუდით და ვაოხრებდით, გარნა მრავალნი მოვიდენ დამორჩილებად. ამათ ჟამთა შინა მოიხსენა ხელმწიფე იმპერატორმა აღთქმული თვისი შარვაშიძის საფარ ბეგისადმი, წარმოავლინა ზღვით მხედრობა, და მოადგენ სონუმის ცინესა და თვრამეტსა საათსა შინა აღიღეს იგი და ივლტოდა მამის მკვლეელი ახლან ბეგ და რომლიცა გადარჩენ მხლენი მისნი; ხოლო ცინე და ქალაქი ეოვლის დიდებითა სავსე, დარჩა რუსთა, დასდგენ მან შინა და ახლან ბეგ სირცხვილეული წარვიდა ჯიქეთს. ხოლო რა განგრძელდა ლაშქრობა ჩვენი და ვერა განვდევნეთ მეფე იმერეთით, და დაიარებოდა აქათ იქით, მაშინ საქართველოს უზირატეს მართებლმა წარმოავლინა შემწედ ჩვენდა რამოდენიმე მხედრობა და მხედართ მძღვანად თავადი დიმიტრი ორბელიანი. და რა სცნა ესე მეფემან, შეუკრა საფრითა გ ზაი ჭიმურის და დააქენა მას ზედ სზანი იმერეთთანი საეპაო და თავადი სიმონ ავაშვილი. დახვდენ იმერნი და ქმნეს ბრძოლა. გარნა ვერ დაუდგენ იმერნი ივლტოდენ, და მოვიდა კნიაზი ორბელიანი ქუთაის თვისის რწმუნებულის მხედრობათა მცნობი ამისი მეფე ულონო იქმნა, სცნა რა ვერლა ძალ-უცს ბრძოლა ჩვენი, წარვიდა კვალად ახალ-ცინეს და მეუღლე მისი მარიაშ დედოფალი,

წარმოგ სავნა დადიანისა ლეონისათანა, ვინადგან ეოა მამის და მისი. გარნა მოითხოვეს იგი რუსთა, რათა წარგ სავნოს რუსეთად. თუძცა ამისთვის დიდათ წუხდა მთავარი დადიანი ლეონ და დედა მისი საქართველოს მეფის ასული დედოფალი ნინო, გარნა ვერ წინა აღუდგა ბრძანებასა იმპერატორისასა და მწეალობელის თვისის ხელმწიფისასა და წარიუვანეს რუსეთად დედოფალი იმერეთისა მარიაშ.

(შეძღებო აქმნება)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ტფილისის გუბერნიის თავად-ახნაურთა საად-გილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცნადებს, რომ IV ტირაქში, რომელიც ეოა 4-ს მაისს ამ 1877 წ, ამოვიდა შემდეგი ნომრები გირავნობის ფურცლებისა.

I ს ე რ ი ა

18 წლისა და 7 თვისანი.

ათის თუმნის } №№ 84, 79, 69, 30, 102, 115, 29 და 74.
ღირებულებისა }

II ს ე რ ი ა

27 1/2 წლისანი.

ასის თუმნისა № 196.

ორმოცდა ათის თუმნისა № 3 და 56.

ათის თუმნისა № № 83, 16, 136 და 64.

54 1/2 წლისანი

ათის თუმნისა № № 42 და 18.

III ს ე რ ი ა

27 1/2 წლისანი.

ასის თუმნისა № 102.

ორმოცდა ათის თუმნისა № 7.

ათის თუმნისა № № 152 და 173.

54 1/2 წლისანი.

ათის თუმნისა № № 49 და 55.

IV ს ე რ ი ა

27 1/2 წლისანი

ორმოცდა ათის თუმნისა № 75.

ათის თუმნისა № 17.

V ს ე რ ი ა

27 1/2 წლისანი

ათის თუმნისა № № 5, 34 და 21.

54 1/2 წლისანი

ათის თუმნისა № № 112 და 95.

თუძცა წესდებულების ძალით ამ გირავნობის ფურცლებში ნაღდი ფული უნდა მიეცეს ამ წლის 1-ს ივლისსა, მაგრამ შემდეგ კასისსა ნებსა ამღვეს გამგეობას დღეიდანვე ამ გირავნობის ფურცელში ფული დაურთოს, ხოლო შვიდს წლის-სარგებელს უკან გამოვა იმ დღეთა რიცხვის მიხედვით, რაოდენიც 1-ს ივლისამდე დარჩება.

ანგარიში

თიონეთის გამსესხებელის და შემნახველის ამხანაგობისა

1876 წლისა.

1-ს იანვარს 1876 წლისა იყო:

	მნუი.	კან.		მნუი.	კან.
წილის ფული 354 წვერისა	3542	60	გასესხებული	7810	„
სასარგებლოდ შემოტანილი ფული	380	„	და შთენილი:		
ნასესხი შემდეგ აღებული	5231	„	ა) ნაღდ ფულად	809	67
სათადარიგო თანხა	54	44	ბ) ტფილისის სავაჭრო ბანკში	700	„
წმინდა მოგება	322	13	გ) ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში	210	50
ს უ ლ	9530	17	ს უ ლ	9530	17

1876 წ ე ლ შ ი

შ ე მ ო ვ ი დ ა	მნუი.	კან.	გ ა ვ ი დ ა	მნუი.	კან.
წილის ფული	844	15	წილის ფული	497	66
სარგებელი დატვირთი სესხობის ანუ ახალის ვადის მიცემის დროს	832	92	მოგება წილზედ 1875 წლისა	141	26
დაბრუნებული ნასესხები	12800	„	გასესხებული	12387	„
ჯარიმა	109	79	სარგებელი ვადაზედ წინ გადახდილის ნასესხისა	11	76
სასარგებლოდ შემოტანილი ფული	3230	„	სასარგებლოდ შემოტანილი ფული	430	„
ნასესხი შემდეგ აღებული	4280	„	სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილის ფულისა	40	88
სათადარიგო თანხა	67	43	ნასესხი შემდეგ აღებული	7231	„
ს უ ლ	22164	29	სარგებელი ნასესხის ფულისა	258	2
			სამმართველოს ხარჯი	124	26
			სხვა და სხვა განავალი	2	„
			აღებ-მიცემისა	180	87
ს უ ლ	22164	29	ს უ ლ	21304	71

1-ს იანვარისათვის 1877 წლისა არის:

	მნუი.	კან.		მნუი.	კან.
წილის ფული	3889	9	გასესხებული	7397	„
სასარგებლოდ შემოტანილი ფული	3180	„	და შთენილი:		
ნასესხი შემდეგ აღებული	2280	„	ა) ნაღდ ფულად	2255	25
სათადარიგო თანხა	121	87	ბ) ტფილისის სავაჭრო ბანკში	103	50
წმინდა მოგება	505	79	გ) ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში	221	„
ს უ ლ	9976	75	ს უ ლ	9976	75

მმართველნი: {
 მ. შიუკოვი.
 გ. გოჯიუვი.
 ს. ფიცხელაური.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Мая 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიის“ განმეორებითი გამოცემის პროექტისა და იდუის ავტორი,

რედაქტორ-გამომცემელი ნუგ ზარ ჭიანჭავაძე

სარედაქციო № 3030: ნელი დარბაიძე, ნინო კერატიშვილი, ნინო შავაძე, ნინო გლუნჩაძე, ლალი გორჩილაშვილი, თამუნა დვალი,

მერაბ დვალი, აკაკი იობაშვილი. მხატვარი, ბუბა არაბული, დიზაინერი ლაშა ჩხენკელი

პროექტი: ივანია – წარსული დაწესება – მომავლის განსაზღვრა

პროექტის მხარდამჭერი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი „ივერია“ აღდგენილია, – განმეორებითი გამოცემა დაწყებულია 2011 წლის 2 აგვისტოს

გამომცემელი შპს „საგამომცემლო სახლი ქართული ელიტა“ საიდენტიფიკაციო №404852174

მისამართი: გ. ლეონიძის 11ა; ტელ.: (+995 32) 299 76 53; chiaberashvili@gmail.com